საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 41 (843) | ხუთშაბათი, 17 მარტი, 1994 წელი | ფასი 2000 კუპონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხვედრა დაღესტნის დელეგაციასთან

16 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დაღესტნის რესპუბლიკის დელეგაცია დაღესტნის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნარბეკ აჯიგაიტკანოვის ხელმძღვანელობით. შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე, რუსეთის ფედერაციის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი.

საუბარი შეეხო ორ მეზობელ ხალხს შორის არსებულ ტრადიციულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას. თუ ერთ მეზობელს უსიამოვნებები აქვს, ეს მეორე მეზობელზეც ვრცელდება, თუ ულხინს, მეორეც დალხინებულია“, — განაცხადეს დაღესტნელმა სტუმრებმა. აღნიშნეს, რომ საქართველოს ისინი მუდამ კეთილსინდისიერ, მშვიდობისმოყვარე მეზობლად თვლიდნენ. ამიტომ, რა მტკივნეულიც არ უნდა იყოს ერთმანეთის მიმართ ცალკეული გამოხდომები, ეს ვერ შეცვლის ჩვენს ერებს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ, სისხლში გამჯდარ კეთილგანწყობილებას. შეხვედრაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრა მეზობელი რესპუბლიკების ურთიერთმხარდაჭერაზე, რაც ასე მნიშვნელოვანია დღეს, საერთო გაჭირვების ჟამს, ხაზგასმით აღნიშნა ერთობლივი ძალისხმევით, ძველი კონტაქტების აღდგენისა და ახლის შექმნის გზით კრიზისიდან გამოსვლის აუცილებლობა. დაღესტანს შეუძლია ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულოს კავკასიაში, განსაკუთრებით იმ დიდ საქმეში, რომელსაც „კავკასიის დიალოგი“ ჰქვია, დასძინა შეხვედრის ბოლოს სახელმწიფოს მეთაურმა.

სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო ისრაელის ელჩი

გუშინ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ისრაელის ელჩი საქართველოში ბატონი ბარუხ ბირენბაუმი.

საუბარი შეეხო ბატონ ედუარდ შევარდნაძის მომავალ ვიზიტს ისრაელში, რომელიც აპრილის შუა რიცხვებისთვის არის გათვალისწინებული. ბატონმა ბარუხ ბირენბაუმმა აღნიშნა, რომ ამ შეხვედრას მოუთმენლად ელოდება ისრაელის სახელმწიფო და ხალხი. ეს იქნება ისტორიული ვიზიტი, რომლითაც დაიწყება ახალი ერა ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა ელჩს მიწვევისათვის და აღნიშნა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ვიზიტს, რომელიც საშუალებას იძლევა გაფორმდეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები. ჩვენ უზარმაზარი პერსპექტივები გვაქვს ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დადებული შემდეგი შეთანხმებები:

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;
ხელმოწერილია 1994 წლის 3 თებერვალს ქალაქ თბილისში.
საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ,
ხელმოწერილია 1994 წლის 3 თებერვალს ქალაქ თბილისში.
1993 წლის სახელმწიფო კრედიტის შესახებ,
ხელმოწერილია 1993 წლის 9 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში.
1992 წლის შედეგების მიხედვით არსებული ტექნიკური კრედიტების დავალიანების საქართველოს რესპუბლიკის კრედიტად გადაფორმების თაობაზე,
ხელმოწერილია 1993 წლის 9 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში.
კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში თანამშრომლობის შესახებ,
ხელმოწერილია 1994 წლის 3 თებერვალს ქალაქ თბილისში.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით:

დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ქ. მოსკოვში 1993 წლის 8 ოქტომბერს დადებული შეთანხმება საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქმენისტანის მთავრობას შორის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკასა და თურქმენისტანს შორის 1993 წლის 17 აგვისტოს დადებული სამთავრობათაშორისო შეთანხმების დამტკიცების შესახებ“.

მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის 1993 წლის 18 აპრილს დადებული სამთავრობათაშორისო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობათა შორის ქალაქ ბაქოში 1993 წლის 8 თებერვალს დადებული შეთანხმება საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობათა შორის ქალაქ ერევანში 1993 წლის 19 მაისს დადებული შეთანხმება საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

ქართველ პარლამენტართა დელეგაცია სანქტ-პეტერბურგში გაემგზავრა

მარტს სანქტ-პეტერბურგს გაემგზავრა საქართველოს პარლამენტის ოფიციალური დელეგაცია პარლამენტის სპიკერის ვახტანგ გოგუაძის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პარლამენტთაშორისო საბჭოს პლენარული სხდომის, ამ საბჭოს მუდმივი კომისიისა და ექსპერტთა სხდომის მუშაობაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ვალერი ახალაიანი, დავით ზაქალეიშვილი, ჯემალ ბერიძე, თემურ კოპალეიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, გურამ მამულია, რომან მიმინოშვილი. ქართლოს ღარიბაშვილი, ელდარ შენგელაია, რამაზ ხიზანიშვილი, ომარ ხუციშვილი. დელეგაციას ახლავს ექსპერტთა ჯგუფი.

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია თბილისს პარასკევს, 18 მარტს დაბრუნდება.

პარლამენტის პრესცენტრი.

ნარკოლოგიური შემოწმება სახელმწიფოს მეთაურის აპარატში

მარტს სპეციალურმა სამედიცინო კომისიამ განახორციელა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომელთა ნარკოლოგიური შემოწმება. ეს უპრეცედენტო მოვლენა, როგორც საინფორმაციო სამსახურის კორესპონდენტს განუმარტა აპარატის ხელმძღვანელმა პეტრე ლორთქიფანიძემ, ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ ფართომასშტაბიანი პროგრამისა, რომელიც ქვეყანაში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის განვითარების წინააღმდეგ არის შემუშავებული.

ასეთი შემოწმების იდეა ეკუთვნის თავად ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც თავისივე მოთხოვნით პირველმა გაიარა იგი.

ასეთი შემოწმებები უნდა გაიარონ სამინისტროების და სხვა სახელმწიფო უწყებების, მათ შორის ადგილობრივი მართვის ორგანოების თანამშრომლებმა.

ედუარდ შევარდნაძე:

ჩვენ ვოცნებობთ იმ დროზე, როცა შუქი აინთება, თუმცა არა მხოლოდ ვოცნებობთ, ვმოქმედებთ კიდეც, რათა მოვიახლოვოთ ეს დრო!

გამოსვლა ეროვნულ პრეს-კლუბში. ვაშინგტონი, 1994 წ. 8 მარტი.

საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო და ბატონებო!

მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ გამონახეთ დრო ჩემთან შესახვედრად.

ბევრ აქ დამსწრეს დიდი ხანია ვიცნობ. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით მაშინ, როდესაც ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ბოლო ეღებოდა ცივ ომს. ახლა, როცა იგი უკან მოვიტოვეთ, თქვენ სხვა, თქვენი ქვეყნისთვის უჩვეულო სიცივე გაწუხებთ. როგორც მითხრეს, გასულ ზამთარს ინდიანაპოლისში ტემპერატურა მინუს 33 გრადუსამდე დაეცა. ზოგს ასეთი კითხვაც დაებადა, გამყინვარების ახალი ხანა ხომ არ იწყებაო?

ქვეყანაში, საიდანაც მე ჩამოვედი, ხალხს სხვა კითხვა აწუხებს, მოესწრებიან კი გაზაფხულის სითბოს?

არ მინდა დავამძიმო ამ თბილ, გასხივოსნებულ დარბაზში შეკრებილნი პატარა გაყინულ ქვეყანაზე საუბრით — ეს არც თუ სასიამოვნო გასაკეთებელია. მაგრამ ქვეყანა, რომელზეც მე მოგახსენებთ, ჩემი ქვეყანა, თვალწინ მიდგას და ჩემდა უნებურად, თქვენს მზერასაც ვუახლოვებ მას.

ამას გარკვეული აზრიც აქვს, ვინაიდან ამ პატარა ქვეყანაში, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ მეასედ ნაწილს წარმოადგენს, პოსტსაბჭოთა პერიოდისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი უბედურება და პრობლემები იყრის თავს. მასში არის ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებშია, მხოლოდ უფრო მეტი და მწვავე: გაღრმავებული ეკონომიკური კრიზისი, ჰიპერინფლაცია, უმუშევრობის ზრდა და საზოგადოების გაღატაკება, შინა შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებმაც ათასობით ადამიანი შეიწირა, და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ვინაიდან ყოველივე ეს თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მეტად დამახასიათებელია, ამიტომ თქვენთვისაც არ უნდა იყოს სულ ერთი, თუ რა ხდება ჩემს ქვეყანაში. როცა ამბობენ, „ყველაფერი, რაც კარგია ამერიკისთვის, დანარჩენი მსოფლიოსთვისაც კარგიაო“, მე ასეთი აზრი მიჩნდება, „ყველაფერი, რაც ცუდია მსოფლიოსთვის, ცუდია ამერიკისთვისაც“, რადგან ახლა დროც ისეთია და მსოფლიოც, რომ ყველაფერი ურთიერთკავშირშია და ყველას შეიძლება ყველაფერი დაემართოს.

ზოგიერთი ჩემი თანამემამულე საქართველოში შექმნილ ვითარებას საშინელებათა ფილმს ადარებს. კარგია თუ ასეა, რადგან ადრე თუ გვიან ფილმი მთავრდება, დარბაზში შუქი ინთება და ადამიანები ისევ ჩვეულ, მშვიდ გარემოს და ყოველდღიურ საქმიანობას უბრუნდებიან.

ჩვენ ვოცნებობთ იმ დროზე, როცა შუქი აინთება, თუმცა არა მხოლოდ ვოცნებობთ, ვმოქმედებთ კიდეც, რათა მოვიახლოვოთ ეს დრო. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ არ ვყრით ფარ-ხმალს. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებშიც კი მივიღეთ მონაწილეობა. თუმცა დაფნის დიდი გვირგვინები არ მოგვიპოვებია, მაგრამ მაინც ვმონაწილეობდით. მაგრამ ჩვენ მაინც გამარჯვება გვჭირდება — სიცივეზე, შიმშილზე, ისტორიულ ბედუკუღმართობაზე. ჩვენ გვინდა გავიმარჯვოთ, რათა ღირსეული მონაწილეობა მივიღოთ ისეთი მსოფლიოს მშენებლობაში, რომელიც ყველას მისცემს პროგრესისა და აყვავების შანსს.

არავისა აქვს უფლება მხოლოდ მიიღოს და სანაცვლოდ არაფერი გასცეს. ყოველივე დიადი, ყოველივე ძლიერი, ნებისმიერი სიმდიდრე ყოველთვის ვიღაცის ხარჯზე მოიპოვება. ამას რომ ვამბობ, იმაზე ვფიქრობ, რამდენი რამ დაზოგა კაცობრიობამ ცივი ომის დამთავრებისა და ბიპოლარული მსოფლიოს დანგრევის შედეგად. განა არა მაქვს უფლება გკითხოთ, რა გვიჯდება მსოფლიოს კეთილდღეობისთვის ახალი საფრთხის შექმნა, თუ დროზე არ გავისტუმრეთ ვალები?!.

ახლა მე არ დავიწყებ ამ საფრთხეზე ლაპარაკს, მხოლოდ ჩემს ქვეყანაზე მოგახსენებთ, რომელიც კაცობრიობისთვის თავსდატეხილ ახალ უბედურებათა მცირე ნაწილია.

ეს ქვეყანა მისმა მდებარეობამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანობისა და ისლამის გზაჯვარედინზე, აზიიდან ევროპისკენ, ნავსადგურების, სრუტეებისა და ზღვებისკენ უმოკლეს გზაზე მსოფლიო და რეგიონული სახელმწიფოების ბრძოლის არენად აქცია და სამუდამოდ სხვათა გეოპოლიტიკურ ინტერესებს ანაცვალა.

ცდილობდა რა თავი გადაერჩინა, ფიზიკურად და სულიერად გაეძლო, იგი დახმარებისთვის მიმართავდა მსოფლიოს ყველა ქვეყანას. როგორც ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი, იგი დასავლეთსაც მიმართავდა, მაგრამ დასავლეთმა ვერ შეძლო ან არ ისურვა დახმარება. დახმარება მოვიდა ჩრდილოეთიდან, რაც ძალიან ძვირად დაგვიჯდა. ამის საფასურად ქვეყანამ თავისი სახელმწიფოებრიობა გაიღო, თუმცა არც იმდენად ძვირად, ვინაიდან მაშინ ერის ფიზიკურ არსებობაზე იყო ლაპარაკი.

სულ ცოტა ორჯერ — მე-17 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო ბედის ანაბარა დარჩა. დიდ მსოფლიო პოლიტიკაში ბატონობდა წვრილი, ეგოისტური მიდგომა, რომელსაც მხოლოდ იმწუთიერი სარგებელი ადარდებდა. ამას რაც მოჰყვა — ყველასთვის ცნობილია. საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ანექსიამ სათავე დაუდო საუკუნის შემდგომ ძვრებს — ცინიკურ გარიგებათა და ლაჩრულ გათვლათა შედეგს.

ისტორია მეორდება. უფრო სწორად, იგი წრიულად მოძრაობს. თავდაპირველად პატარა წრეებს ხაზავს, შემდეგ კი გლობალურად ფარგლავს.

საუკუნის მსოფლიო კატასტროფათა ათვლა სარაევოში დაიწყო და ამავე წერტილში მთავრდება. ალბათ ეს მხოლოდ დამთხვევაა, მაგრამ იქნებ ისტორია სამაგიეროს უხდის იმათ, ვინც ყურად არ იღებს მის გაკვეთილებს?

დიდი ისტორიული წრე ჩემი ქვეყნის გარშემო იკვრება.

„მე ვისურვებდი, რომ საქართველოს ძველი ძლიერება დაბრუნებოდა, რომ მას სხვისი დახმარება არ სჭირდებოდეს, იყოს სრულიად დამოუკიდებელი, როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს. მაგრამ, რადგან გარემოებათა დამთხვევისა და ბედის უკუღმართობის გამო ისეთ უძლურებამდე მივედით, რომ სხვას უნდა დავემორჩილოთ, მაშინ ყველაზე გონიერია იმას დავემორჩილოთ, ვინც უფრო სამართლიანია, ვისთვისაც წმინდაა მოკავშირეებთან მეგობრობა“.

ეს სიტყვები ჩემი არ არის — მე დავესესხე აიეტს, კოლხეთის — მე-6 საუკუნის დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს. აიეტის მიერ დასმული პრობლემა მთავარი პრობლემაა საქართველოს ისტორიაში. ეს არის სამართლიან, კეთილგანწყობილ მოკავშირეთა ამორჩევისა და შეძენის პრობლემა. დროს არც გაუუქმებია და არც შეუცვლია იგი. ამ პრობლემას წავაწყდი მეც. მეგონა ვიცოდი, როგორ უნდა გადამეწყვიტა იგი.

მოგახსენებთ, რომ სამშობლოში სამიოდე თვის შემდეგ დავბრუნდი მას შემდეგ, რაც არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირმა. მისი სამართალმემკვიდრე რუსეთი გახდა. შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. მანამდე დიდი ხნით ადრე საქართველომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო სრულ საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა. ეს მაშინ მოხდა, როცა მას ესოდენ სჭირდებოდა ყოველმხრივი ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნიკური ხელშეწყობა.

მე მიზნად დავისახე გამომეყვანა ქვეყანა ამ იზოლაციიდან, მისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური გარემო შემექმნა. ვითარება ისეთი იყო, რომ არავითარ ცალმხრივ ორიენტაციაზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი — რეგიონში ეული სახელმწიფოს ადგილი და მისი შინა მდგომარეობა დასაყრდენთა ფართო სისტემის არჩევანს გვკარნახობდა. პირველ რიგში ეს იყო რუსეთთან, საქართველოს ყველაზე დიდ და ძლიერ მეზობელთან, ურთიერთობის აღდგენა, რომელთანაც მას რთული, წინააღმდეგობრივი, და ამასთან, თანამშრომლობის რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აკავშირებდა.

თავიდან პრეზიდენტ ელცინს შევთავაზე დაგვედო მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება, იგი დამთანხმდა, მაგრამ დიდ წარმატებას ვერ მივაღწიეთ. მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მისმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა რუსეთში საქართველოს მიმართ მისი პოლიტიკაც ამოიღეს მიზანში, რუსეთის იმავე ძალების მიერ მნიშვნელოვანწილად გარედან პროვოცირებული ჩვენი შინა კონფლიქტები რუსეთის ფედერაციის სამხრეთში ვითარების დეტონატორად გამოიყენეს.

ამის მიუხედავად, ჩვენ ვეძებდით დაახლოების გზებს, ხშირად არ ვაქცევდით რა ყურადღებას რუსეთის რეაქციული ძალების პირდაპირ ჩარევას ჩვენს საქმეებში, მათ მიერ საქართველოში სეპარატიზმისა და მეხუთე კოლონისთვის მხარდაჭერას. ამავე დროს ნორმალური ურთიერთობა დავამყარეთ ყველა მეზობელთან. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაფუძნებაში. და, რა თქმა უნდა, ვცდილობდი ჩემი ქვეყნისთვის დასავლეთისაკენ გამეკვალა გზა. როგორც რობერტ უორენის ცნობილი რომანის გმირი, ვეძებდი ამ გზებს ჩემი და ჩემი ქვეყნის ყველაზე მძიმე და მტანჯველი მარტოობის ჟამს.

საქართველო და რუსეთი, საქართველო და დასავლეთი სამყარო — მე არ განვიხილავდი ამ კონტაქტებს იზოლირებულად, ერთმანეთისგან მოწყვეტით. გორბაჩოვის ეპოქის საგარეო-პოლიტიკური მიღწევები ხელს უწყობდნენ რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთსა და დასავლეთს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას. ამ კონტექსტში განვსაზღვრავდი ჩემი ქვეყნის ადგილსა და როლს — არა ორსახოვანი იანუსისა, არამედ თანასწორი მოკავშირისა, რომელსაც, რა თქმა უნდა, შეეძლო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელი შეეწყო ამ ორი ქვეყნის მთავარი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტისთვის — დაემკვიდრებინა მშვიდობა და სტაბილურობა პოსტკომუნისტურ სამყაროში. მაგრამ ეს კონტექსტი მოიცავდა ერთ არცთუ უმნიშვნელო პუნქტს, რომელიც ყველას უნდა მიეღო მხედველობაში, ჩემს აზრებს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ჩემი წერილი „დიდი შვიდეულისადმი“, რომელიც 1993 წლის ივლისში გავუგზავნე მას. თანამედროვე პირობებში გლობალური პოლიტიკის „ფოკუსი“ და საფუძველია, — ვწერდი მე, — საქმის ვითარება რუსეთში, მისი ჩამოყალიბება ახალ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოდ. „შვიდეულს“ შეუძლია და ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ პროცესის პოზიტიურ განვითარებას. თუმცა, მისი განხილვა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში საქმეთა ვითარებისგან მოწყვეტით, განწირული იქნება შეცდომებისათვის, რაც მეტად ძვირად დაუჯდება რუსეთსაც, დასავლეთსაც და მთელ მსოფლიოსაც.

ვცდილობდი, დღევანდელობის გამოჩენილი პოლიტიკური მოაზროვნეებისათვის ამეხსნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად, მის მიერ დაკავებულ სივრცეში არიან ქვეყნები, რომლებსაც ბევრი რამ აერთიანებთ პოლიტიკაშიც, ეკონომიკურ სფეროშიც, რომ არ მოშლილა ერთიანი კულტურული გენი, რომელშიც არსებობას განაგრძობს ერთიანი მსოფლმხედველობრივი ნორმატივები და საერთო მენტალიტეტი, ამიტომ ვამბობდი, მთელი ეს პოსტსაბჭოთა სივრცე უნდა განვიხილოთ როგორც მთლიანობა და მისდამი მიდგომაც ერთიანი უნდა იყოს-მეთქი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ყურადღების ცენტრში ერთი, თუნდაც ყველაზე დიდი ქვეყანა ექცევა, როცა მხოლოდ მისი სტაბილურობა მიიჩნევა საერთაშორისო უშიშროების ფაქტორად, სხვებს კი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებათ, ჩვენ ვრისკავთ შევარყიოთ გიგანტის მდგრადობა მისი უახლოესი მეზობლების არასტაბილურობით.

„შეუძლებელია რუსეთის სტაბილურობა მისი რეგიონებისა და მეზობელი სახელმწიფოების სტაბილურობის გარეშე. პირველ რიგში მხედველობაში მქონდა კავკასია და ამიერკავკასიის სახელმწიფოები, ჩემი სამშობლო — საქართველო. ისტორიულად ეს არის კავკასიის გასაღები. სტაბილური საქართველო — სტაბილური კავკასია, სხვაგვარად შეუძლებელია.

არ ვიცი, რამდენად შევძელი დამერწმუნებინა თანამოსაუბრენი, მაგრამ ხანამ მე მათ ამას ვუმარტავდი, ჩემს ქვეყანას ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდნენ. იმ ცნობილ წერილში მოვიხსენიე კატასტროფა და მან არ დააყოვნა აფხაზეთში, რამაც გამოძახილი ჰპოვა ვრცელ რეგიონში არასტაბილურობის მძლავრი კერების წარმოშობაში. რუსეთში ყველაზე უფრო გამჭრიახი მეთვალყურენი ამ კატასტროფის შედეგებს არ ფარგლავენ მხოლოდ ამ რეგიონის საზღვრებით, განავრცობენ მას შავი ზღვა-კასპიის უზარმაზარი რეგიონის ზონის ფარგლებს იქითაც და აკეთებენ პროგნოზს კავკასიის ზონის კონფლიქტის შუა აზიის არასტაბილურობის რეგიონთან შერწყმის თაობაზე. ხოლო თუკი ევროპის რუკას შევხედავთ მისი ბალკანეთის პრობლემით, ძნელი არ იქნება განვჭვრიტოთ დიდი ომების წრიული ფრონტების წარმოქმნის პოტენციური საფრთხე.

წინაპრები ფიქრობდნენ, რომ უსიამოვნო ცნობები თავისით არ მოდის — მათ გამოიწვევენ ხოლმე. დღეს უსიამოვნო ცნობები ვითომ კეთილისმყოფელთა წვრილმანი ანგარიშის, არაშორსმჭვრეტელობის, შეზღუდული გონების, მათ მიერ ცვალებადი გარემოებების შესაბამისად მოქმედების სურვილის ან ცოდნის უქონლობის გამო მოდის. შედეგად, ჩემი მეგობრის გავრილ პოპოვის სიტყვები რომ გავიმეორო, ზეიმობს მეზობელთან კონკურენციაში მყოფი მედუქნის მიდგომა, რომელიც ჭკუადაკარგულია საკუთარი ქონების გამო ათწლეულობით შიშისაგან თავის დაღწევის სიხარულით.

ოდესღაც ერთმა ჭკვიანმა ამერიკელმა იწინასწარმეტყველა, ევროპის მყრალი ჭურჭლები „შთაგონებული იდიოტისთვის“ სასურველ გარემოდ შეიძლება იქცესო. დღეს ბევრს შოკში აგდებს ცალკეულ ლიდერთა გამოსვლები, მაგრამ ისინი ხომ თავისით არ წარმოშობილან? „ტანჯვის ინდექსი“ და მოტყუებული ხალხის შელახული თავმოყვარეობა უბიძგებს მათ ახალი მესიებისაკენ. მე მაინც მინდა ვიფიქრო, რომ 1993 წლის დეკემბერში არ გაუმარჯვიათ ულტრანაციონალისტებს — გაიმარჯვა დემოკრატიულმა ნებამ, რომელმაც უარყო საზოგადოებისთვის შეთავაზებული განვითარების მოდელი. ეს გამარჯვება პოსტსაბჭოურ სამყაროსთან ურთიერთობაში დასავლეთის პოლიტიკის მარცხსაც ნიშნავს.

ძალიან მინდა ვიყო ოპტიმისტი. გამყინვარების პერიოდი არ დადგება. სიცივე, როგორც პოლიტიკის ფაქტორი, გაქრება. ფიურერის მანერებიანი ცუდი ბიჭები კარგ დემოკრატებად იქცევიან. დასრულდება კონფლიქტები და შეწყდება ეკონომიკური დაქვეითება. მაგრამ თუ ეს შენზე არ არის დამოკიდებული, მაშინ ისღა დაგვრჩენია, ვთხოვოთ ოპტიმისტებს: გვიწილადეთ ეს დიდებული რამ, დაგვეხმარეთ სინათლის ანთებაში.

მე, როგორც იტყვიან, ჩემი გულის ნადები გაგიზიარეთ, შეიძლება აქ, დიდ ამერიკაში პატარა ქვეყანაზე წარმოდგენა არ გქონდეთ, ეს პატარა ქვეყანა იქნებ ერთი წერტილია მხოლოდ ჩვენი პლანეტისა, მაგრამ პლანეტის სინდისი სუფთა არ იქნება, თუკი თუნდაც ეს ერთი წერტილი წაიშლება დედამიწაზე. მე მჯერა, რომ ეს არ მოხდება, იმიტომ რომ არიან ამ ქვეყანაზე, არიან ჩვენს პლანეტაზე ძლიერნი და მე მინდა დავამთავრო ჩემი გამოსვლა ჯონ კენედის მიერ ნათქვამი სიტყვებით „ძლიერნი უნდა იყვნენ სამართლიანები და სუსტები დაცულნი“. ჩვენ ამის იმედი გვაქვს. გმადლობთ.

პარლამენტის სხდომის დღიური

ამჯერად — მშვიდ ატმოსფეროში

15 მარტს პარლამენტის სხდომათა დარბაზში შესვლისთანავე თვალში მომხვდა დეპუტატ ზურაბ მურვანიძის აფიშირებული მოწოდება: „პარლამენტარებო, მობრძანდით სამსახურში!“ ბატონ დეპუტატის ამ კეთილშობილურმა სურვილმა ქართული ანდაზა — „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“ — გამახსენა, რადგან იმას, რომ შეიძლება სამსახურში არ იარო და ხელფასი მაინც მიიღო, სამოცდაათი წლის მანძილზე დაგვაჩვიეს! ბატონ ზურაბის მიზანი, პარლამენტარებს შეახსენოს მოვალეობა, მოსაწონია, მაგრამ ჭკუის დარიგებამ და მორალის კითხვამ რომ დღეს ჭირი მოგვჭამა, უნაყოფოა, მას არ უნდა ესწავლებოდეს, — რადგან, არაერთგზის შეგონების მიუხედავად. პარლამენტის მავანი და მავანი წევრის სიტყვაკაზმულობა ხშირად სმენია და კვორუმის უქონლობის გამო ჩაშლილი სხდომების მომსწრეც არც თუ იშვიათად ყოფილა.

ეს ისე, ვიდრე სხდომის დღის წესრიგით განხილულ საკითხებზე მოგითხრობდით, კულუარული ფაქტი გავიხსენე, რადგან თუ ბატონ ზურაბ მურვანიძის ფირნიშმა, პირადი თუ ქვეყნის საზრუნავით ერთობ გულდამძიმებული ზოგიერთი პარლამენტარი გააცინა (სიცილი კი, მოგეხსენებათ, ჯანმრთელობაა), მკითხველმა რაღა დააშავა?

ახლა ძირითადზე:

დილის სხდომაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის შედეგებზე ისაუბრა პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან თქვა:

— ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო ამერიკის ადმინისტრაციის უფრო ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია ჰქონოდა საქართველოზე, მხარდაჭერა მიგვეღო აფხაზეთის საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში, ძირითადად, აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შემოყვანაზე. ბუნებრივია, ამ პრობლემასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას არსებითი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით კი ამ აქციის დაფინანსებას. მოგვესმინა და გვეთხოვა გარკვეული მატერიალურ-ფინანსური დახმარება მათი შესაძლებლობების ფარგლებში. რა თქმა უნდა, უმთავრესი ამოცანა იყო საფუძველი ჩაგვეყარა ორი ქვეყნის სამართლებრივი ურთიერთობისა და სამართლებრივი ბაზის შექმნისათვის.

სახელმწიფოს მეთაურმა ჩეხეთში დელეგაციის შეჩერების მიზანზეც გაამახვილა ყურადღება: გვსურდა მხარდაჭერა გვეთხოვა ვაცლავ ჰაველისათვის უშიშროების საბჭოში აფხაზეთის საკითხის განხილვისას, რამდენადაც ჩეხეთი ამ ეტაპზე ითვლება უშიშროების საბჭოს წევრად. შეხვედრა შედგა და მიიღო კიდეც ჰაველის დაპირება. თქვა, რომ საინტერესოდ და საქართველოსთვის სასარგებლოდ წარიმართა მოლაპარაკებები ვაშინგტონში. პრეზიდენტი კლინტონი და მისი კოლეგები კარგად არიან ინფორმირებული კავკასიაში შექმნილ ვითარებაზე. გარკვეული წარმოდგენა აქვთ ჩვენს პრობლემებზე. საუბრების დიდი დრო კი მოვანდომეთ მათთვის იმის განმარტებას, თუ [illegible] საქართველოში, რატომ გაუჭირდა ქვეყანას.

— რა გადაწყვეტილებები მივიღეთ და რითი დამთავრდა ეს მოლაპარაკებები? — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა: — ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობის პრინციპების შესახებ. ეს არის ზოგადი დებულება, რომელიც მომავალში სხვა ხელშეკრულებების დადების საშუალებას იძლევა. ჩვენი ეკონომიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ხელშეკრულებას ინვესტიციების შესახებ, ინვესტიციების ურთიერთდაცვის თაობაზე. მივიღეთ პრინციპული თანხმობა აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შემოყვანაზე.

როცა ლაპარაკია სამშვიდობო ძალებზე, ყველაზე მწვავეა მათი დაფინანსების საკითხი, — თქვა ბატონმა ედუარდმა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს გაეროს საკმაოდ სოლიდური ვალი აქვს, მაინც გამოძებნის წყაროებს სამშვიდობო ძალების დასაფინანსებლად. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა კლინტონმა საქართველოს გამოუყო არა კრედიტი, არამედ ერთდროული ჰუმანური დახმარება — 70 მილიონი დოლარი. თქვა, რომ იყო მნიშვნელოვანი და საჭირო შეხვედრები სენატსა და კონგრესში, კომისიებში, ცალკეულ კონგრესმენებთან, რომ მათთან საუბრობდნენ საქართველოზე. ჩვენი სახელმწიფოს კურსზე — დემოკრატიული განვითარების გზაზე.

— მე მინდა განვაცხადო, — თქვა მან, — რომ როგორც შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში, ასევე საკანონმდებლო სტრუქტურებში საქართველოს მიერ განვლილ გზას და მის კურსს გაგებით ხვდებიან. კლინტონის პრესკონფერენციაზე კი ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა და კვლავ დაუჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფოს განუყოფლობას, რომ აფხაზეთის საკითხებში აშშ-ში გაატარებენ იმ კურსს, რომელიც ჩამოყალიბდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში.

სახელმწიფოს მეთაურმა დეპუტატებს მოუთხრო ქართული დელეგაციის რეზიდენციაში ბეიკერის სურვილით მოწყობილ შეხვედრაზე. ეს არ იყო ყოფილი კოლეგების უბრალო შეხვედრა — ბეიკერი არის საქართველოს დემოკრატიის გადარჩენის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებით გამოყო „ვაშინგტონ [illegible] რედაქტორსა და წამყვან ჟურნალისტებთან შეხვედრა, ასევე შეხვედრები მსოფლიო ბანკის პრეზიდენტსა და სავალუტო ფონდის გენერალურ დირექტორთან. რადგან საქართველოში გამოიკვეთა გარკვეული სტაბილურობა, ნათლად ჩამოყალიბდა საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის კურსი, მათ განაცხადეს, რომ მზად არიან საქართველოსთან სათანამშრომლოდ. წლეულს მარტის დამლევს, საქართველოში ჩამოვა მსოფლიო ბანკის დელეგაცია, აპრილის დამდეგს კი — სავალუტო ფონდისა. პირველი ინექცია იქნება ტექნიკური კრედიტი, რომელიც პროგრამების შედგენა-დაფინანსებას მოხმარდება. ეს კი შექმნის საქართველოსთვის ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდს. ბატონმა ედუარდმა ასევე ილაპარაკა კერძო ინვესტიციების კორპორაციაში საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრების, ჩვენი ბიზნესმენებისა და ამერიკელ ბიზნესმენთა სასარგებლო შეხვედრაზე.

— მე მგონია, რომ, სამომავლო თვალთახედვით, სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა შეხვედრებს პენტაგონში, — თქვა მან. — სადაც გაკეთდა ერთობლივი განცხადება აშშ-სა და საქართველოს მომავალ ურთიერთობათა შესახებ თავდაცვისა და სამხედრო სფეროში. ისინი დაგვეხმარებიან ოფიცერთა კადრების მომზადებაში, დაინიშნება ამერიკის პირველი სამხედრო ატაშე საქართველოში, ასევე, საქართველოს სამხედრო ატაშე მივლინებული იქნება ვაშინგტონში. ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ შეიარაღებული ძალების სფეროში, რაც სასარგებლოა ქვეყნის თავდაცვისათვის, ჩვენი შეიარაღებული ძალების [illegible]ფორმირებისათვის.

[illegible] უშიშროების საბჭოს [illegible] თაობაზე სახელმწიფოს [illegible] თქვა:

— [illegible] რაც იმ ტრიბუნიდან უნდა [illegible], ითქვა. ვფიქრობ, ითქვა სიმართლე. სიმართლე იმაზე, თუ რა მოხდა აფხაზეთში და რატომ მოხდა, რა მოვლენაა ეს. საკმაოდ გარკვეულად და ნათლად

(დასასრული მე-3 გვ.).

ბოლო სვეტი

გალის რაიონში კარანტინი გამოაცხადეს

სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური წყაროებიდან მოდის ცნობები, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა ბოლო დღეებში მკვეთრად შეზღუდეს სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილება გალის რაიონში, აგრეთვე ფაქტობრივად მინიმუმამდე შეამცირეს ნათესავებისა და მეზობლების — გალის რაიონის იმ მცხოვრებლების ურთიერთობა, რომლებიც მდინარე ენგურის გაღმა-გამოღმა აღმოჩნდნენ. გალის რაიონის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ხომ აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების მხეცობისა და ყაჩაღობის შიშით იძულებული იყო დაეტოვებინა მშობლიური ადგილები და დროებითი თავშესაფარი ზუგდიდის, წალენჯიხისა და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში ეპოვა. მათი ნათესავების ერთი ნაწილი ჯერ ისევ გალის რაიონშია.

ახლა კი აფხაზმა ხელისუფლებმა, ფაქტობრივად, აკრძალეს ასეთი მისვლა-მოსვლა. ამის ფორმალური საბაბი გახდა მათ მიერ გალის რაიონის ტერიტორიაზე შემოღებული კარანტინი, რომლის მოქმედების ვადა 10-დან 20 მარტამდეა.

ამას გარდა, აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები, რომლებიც მდინარე ენგურთან არიან განლაგებული, ბოლო დღეებში ეპიზოდურად უშენენ ავტომატის ცეცხლს — ხან ჰაერში, ხანაც ზუგდიდის რაიონის იმ სოფლების მიმართულებით, რომლებიც მდინარე ენგურთან მდებარეობენ. ამ პროვოკაციულ მოქმედებას, ალბათ, ის მიზანიც აქვს, რომ ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ ზუგდიდის რაიონის სოფლების მცხოვრებლებსა და იქ მყოფ აფხაზეთის რეგიონიდან დევნილებზე.

თენგიზ პაჭკორია.

●

მეათასე გოდიში

როდემდე?

უკვე მერამდენედ გვიწევს მკითხველებთან მობოდიშება იმისათვის, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზის — ელექტროენერგიის სისტემატური გამოთიშვის, ზოგჯერ კი საერთოდ უქონლობის გამო — ამ ბოლო ხანს, ლამის არის, სისტემატური ხასიათი მიიღო „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოუსვლელობამ. ამავე მიზეზით ვერ გამოვიდა, კერძოდ, 16 მარტის (ოთხშაბათი) ნომერიც.

„საქენერგოსა“ და „თბილისის“ ხელმძღვანელობისადმი ჩვენმა მრავალგზისმა წერილობითმა თუ სატელეფონო მიმართვამ, თხოვნამ თუ მოთხოვნამ, სხვა ზომებმაც დღემდე, სამწუხაროდ, ვერანაირი საიმედო შედეგი ვერ გამოიღო.

ამჯერად კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!), თქვენთან ერთად, ძვირფასო მკითხველებო, გვსურს ვკითხოთ მათ და სხვებსაც, ვისაც ამისთვის ზრუნვა სამსახურებრივად ევალება: როდემდის გაგრძელდება ასე? და კიდევ: რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, რედაქციისთვის თუნდაც ელექტროენერგიის სარეზერვო კვების გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა?..

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

აბჯარი

საქართველოს რესპუბლიკა

№3 (39)

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი პირადი მამაცობისა და მხედრული ვალის შერულებისათვის, გაბედული მოქმედებისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

ჯემალ არძენაძე — რიგითი, მეორე ოპერატიული ბრიგადის ბათუმის მოტომსროლელი ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
რობერტ ასლანიკაშვილი — რიგითი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის გუშაგი (სიკვდილის შემდეგ);
მურმან ახალაია — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ბიჭიკო ახალაია — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
დავით ბებია — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
მამუკა ბენიძე — ზემდეგი, წყალტუბოს ბატალიონის ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);
პაატა ბენდელიანი — რიგითი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ნოდარ ბექვაია — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
გია გვილავა — რიგითი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
მურთაზ გაბიძაშვილი — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ვასილ გახარია — რიგითი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ლევან გურჩიანი — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
რევაზ დარსანია — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ბადრი თორდინავა — რიგითი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
დემურ კარტოზია — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
თენგიზ კოპალიანი— კაპიტანი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის სამწყობრო ნაწილის უფროსი (სიკვდილის შემდეგ);
ბადრი ლეთოდიანი — რიგითი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
რომან ლეთოდიანი — უფროსი ლეიტენანტი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის ქვეგანყოფილების მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);
ოლეგ ლოლაძე — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
მერაბ მაჩაიძე — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
რევაზ მაჩაიძე — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
მურმაკ ნაროუშვილი — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ზურაბ სხულუხია — რიგითი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
იგორ ტოშუა — რიგითი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
თენგიზ ტყებუჩავა — რიგითი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ნუგზარ ქობალავა — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
კობა ქრისტესაშვილი — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
რეზო ლეინჯილია — ლეიტენანტი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის ოცეულის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);
სოსო ყალიჩავა — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ)
აბე ყურაშვილი — რიგითი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
რომან შოგირაძე — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
მამუკა შონია — რიგითი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ვლადიმერ ჩიხლაძე — რიგითი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ლერი ნივილაშვილი — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
ზურაბ ნიქორიძე — ზემდეგი, სოხუმის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);
გურგენ ხარაიშვილი — რიგითი, აფხაზეთის ქართული მხარის ბატალიონის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ).

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

ანზორ ბახტაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, მთავარი სამმართველოს სამედიცინო განყოფილების უფროსის მოადგილე.

ე. შევარდნაძე
ქ. თბილისი
22 თებერვალი, 1994 წელი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით:

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

გელა ბერუაშვილი - კაპიტანი, მესამე ბრიგადის შტაბის უფროსის თანაშემწე;
ზვიად ბიწაძე - უფროსი ლეიტენანტი, მესამე ბრიგადის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;
ალექსანდრე გელაშვილი - ვიცე-პოლკოვნიკი, მესამე ბრიგადის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი;
ჯუმბერ თორლევაშვილი - მაიორი, მესამე ბრიგადის საგანგებო ბატალიონის მეთაური;
ჯუმბერ იაკობიძე - კაპიტანი, მესამე ბრიგადის საინჟინრო სამსახურის უფროსი;
მაკარ კალმახელიძე - უფროსი სერჟანტი, მესამე ბრიგადის მესანგრეთა ათეულის მეთაური;
გიორგი კენჭაძე - კაპიტანი, მესამე ბრიგადის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;
იოსებ კორძაძია - ვიცე-პოლკოვნიკი, მესამე ბრიგადის მეორე ბატალიონის მეთაური;
ნოდარ მუსერიძე - პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე;
არჩილ ომიაძე - კაპიტანი, მესამე ბრიგადის ბატალიონის მეთაურის მოადგილე;
გიორგი ყიფშიძე - რიგითი, მესამე ბრიგადის მებრძოლი;
ალექსანდრე ცომაია - კაპიტანი, მესამე ბრიგადის პირველი ბატალიონის ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

ზაზა გაბედავა - სერჟანტი, მესამე ბრიგადის ბატალიონის ათეულის მეთაური;
დავით გაჩეჩილაძე - კაპიტანი, მესამე ბრიგადის პირველი ბატალიონის ასეულის მეთაური;
მალხაზ გვარამაძე - ზემდეგი, მესამე ბრიგადის სამთომსროლელი ბატალიონის ათეულის მეთაური;
გიორგი გონგლაძე - ზემდეგი, მესამე ბრიგადის სამთომსროლელი ბატალიონის ათეულის მეთაური;
ვაჟა ზინდრიშვილი - ზემდეგი, მესამე ბრიგადის სამთომსროლელი ბატალიონის ათეულის მეთაური;
გიორგი თოქმაძე - კაპიტანი, მესამე ბრიგადის პირველი სპეციალური ბატალიონის შტაბის უფროსი.
დავით კასრაძე - რიგითი, მესამე ბრიგადის მებრძოლი;
მაქსიმე მაკასარაშვილი - ზემდეგი, მესამე ბრიგადის სატანკო დანაყოფის მძღოლი-მექანიკოსი;
ზვიად მალაშხია - სერჟანტი, მესამე ბრიგადის სამთომსროლელი ბატალიონის ათეულის მეთაური;
დავით მღებრიშვილი - რიგითი, მესამე ბრიგადის სამთომსროლელი ბატალიონის ათეულის მეთაური;
ნუგზარ ჩანადირი - კაპიტანი, მესამე ბრიგადის პირველი სპეციალური ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური;
თეიმურაზ ჩიტაძე - კაპიტანი, მესამე ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსი;
გიორგი ხაჩიძე - ზემდეგი, მესამე ბრიგადის სამთო-მსროლელი ბატალიონის ათეულის მეთაური;
ალექსანდრე ჩხეიძე - ზემდეგი, მესამე ბრიგადის სამთო-მსროლელი ბატალიონის ათეულის მეთაური.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

ბაგრატ ადამიანი - უფროსი ლეიტენანტი, მესამე ბრიგადის სპეციალური ბატალიონის ოცეულის მეთაური;
გოჩა ავდალიანი - რიგით, მესამე ბრიგადის მებრძოლი;
ვლადიმერ გურიელი - რიგითი, მესამე ბრიგადის საგანგებო ბატალიონის ოფიცერი;
კახაბერ თევდორაძე - კაპიტანი, მესამე ბრიგადის სპეციალური ბატალიონის მეთაურის მოადგილე;
კაკო სიხუაშვილი - ლეიტენანტი, მე-11 ბრიგადის 120-ე ბატალიონის ოცეულის მეთაური;
თენგიზ სუხაშვილი - უფროსი ლეიტენანტი, მესამე ბრიგადის სპეციალური ბატალიონის მებრძოლი.

ე. შევარდნაძე
ქ. თბილისი
22 თებერვალი, 1994 წელი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობის და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით:
ზურაბ უსენაშვილი — რიგითი, პირველი საარმიო კორპუსის ცალკეული ბატალიონის მეთაურის პირველი მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:
რომან დუმბაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, ბათუმის ოცდამეხუთე მეოტომსროლელი ბრიგადის მეთაური.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":
სარდიონ კილასონია — რიგითი, პირველი საარმიო კორპუსის მზვერავი (სიკვდილის შემდეგ);
როლანდ წერეთელი — რიგითი, პირველი საარმიო კორპუსის მზვერავი (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე
ქ. თბილისი
22 თებერვალი, 1994 წელი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

პოლკოვნიკ მ. ზარანდიას მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში ბანდიტური დაჯგუფებების ალკვეთისას გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი მურმან ზარანდია დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის".

ე. შევარდნაძე
ქ. თბილისი
22 თებერვალი, 1994 წელი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

პოლკოვნიკ ს. წურწუმიას ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაცვის სამსახურის უფროსი პოლკოვნიკი სერგო წურწუმია დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ე. შევარდნაძე
ქ. თბილისი
22 თებერვალი, 1994 წელი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

ვიცე-პოლკოვნიკ გ. გვრიტიშვილის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის ადა თავდადებისათვის [illegible] საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონ „თეთრი არწივის" შტაბის [illegible] ვიცე-პოლკოვნიკი გოდერძი გვრიტიშვილი დაჯილდოვდეს ვახტანგ [illegible] I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე
ქ. თბილისი
22 თებერვალი, 1994 წელი

ერთიანი არმიის შესაქმნელად

საქართველოში ყველას საკუთარი ჯარი და ციხესიმაგრე აქვს...

[illegible] ლის მეფობის [illegible] თავის დროზე [illegible] გაწვრთნილი მოქმედი ჯარი ჰყავდა და ქვეყანაც ძლიერების ზენიტში იყო), საქართველოში რეგულარული არმიის შექმნის ყველა ცდა მარცხით მთავრდებოდა. მიზეზი მარტივია, კარგად შეიარაღებული გაწვრთნილი ჯარი, უპირველესად, ცენტრალური ხელისუფლების, ქვეყნის ძლიერების გარანტია. იმათ, ვინც ხელისუფლების სისუსტითა და ანარქიით ხელს ითბობს, თავის ძალაუფლებას ინარჩუნებს, არმია ხელს არ აძლევთ. ისტორიამ კარგი გაკვეთილები ჩაგვიტარა, მაგრამ ბევრიც ვერაფერი გვასწავლა. ტრადიციას არ ვღალატობთ. ჩვენში დღეს ერთი კაცი თუ ჯარს აშენებს, იქვე სამი ანგრევს. აქ ყველას ლამის საკუთარი ჯარი და ციხესიმაგრე აქვს. ბიჭი ხარ და შეჰბედე რამე...

სამხედრო ბაზებს, რომლებიც რუსებმა გადაურჩათ, საბოლოოდ ხვეტებმა მოუღეს ბოლო. ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობამ ომმა, განუკითხაობამ და თავის დროზე კარგად გამიზნულმა პროპაგანდამ - ქართველი ლაღი ბუნებისაა, სპარტანულ წვრთნასა და წესრიგს ვერ შეეგუებაო - შედეგი გამოიღო: გასაწვევები სამხედრო კომისარიატების სათოფეზე აღარ ეკარებიან.

ქვეყანაში, სადაც ჯარისკაცს ცერად უყურებენ და სამხედრო სამსახურს თავს არიდებენ, ჩანს, არმიის აუცილებლობას სერიოზულ საქმედ არ თვლიან...

ჩვენთან, სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე, სადაც უნებართვოდ ჩიტიც ვერ უნდა შეფრინდეს (ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს ასე იყო!), სამოქალაქო ფორმიანი ბიჭები ავტომობილებით თუ ფეხით თავისუფლად დასეირნობენ.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შინაგანი ჯარის პირველი ოპერატიული ბრიგადის (ყოფილი საბჭოთა არმიის შინაგანი ჯარის მერვე ლეგიონის) ტერიტორიაზე თავისუფლად შევედი და ბრიგადის მეთაურის კაბინეტამდე ისე დაუბრკოლებლად მივაღწიე, ჩემით არავინ დაინტერესებულა. თუმცა, ალაყაფის შესასვლელშიც და შტაბშიც მორიგე ჯარისკაცები იდგნენ. საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარი პოლკოვნიკ ვანო ჭელიძის თაოსნობით 1991 წელს შეიქმნა. პირველი ოპერატიული ბრიგადის მეთაურის ილია ბაზერიშვილის თქმით, სწორედ ამ კაცის დამსახურება გახლავთ ის, რომ ეს სამხედრო ბაზა საბრძოლო ტექნიკითა თუ სხვა მოწყობილობებით არ გაიძარცვა. არადა, იმ პერიოდშიც და მოგვიანებითაც, საქართველოში საბჭოთა არმიის გადარჩენილი სამხედრო აღჭურვილობა უმოწყალოდ გაიყიდა და განიავდა.

აქ კი ტერიტორია შეძლებისდაგვარად მართლაც კეთილმოწყობილია, გარედან შენობებსაც მზრუნველი ხელი ატყვია... გარედან მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ყაზარმებში, სადაც მეგზურობას ბრიგადის პირველი ბატალიონის მეთაური მაიორი ზაზა უმიკაშვილი მიწევს, მაინცდამაინც იდეალური წესრიგი არ არის. ბატალიონში 350 კაცი უნდა მსახურობდეს, აქ დღეს, ჯერჯერობით სულ 25 ჯარისკაცია. [illegible] ოთახებში ჰყავთ განთავსებული, რადგან საძინებელ დარბაზში ისე ცივა, ძილი კი არა [illegible] დგომა ჭირს, როგორც ყველას, გათბობა და ელექტროენერგია არც ამათ აქვთ.

ირგვლივ ახლად შეკეთებულ შელამაზებულ კედლებს ჩექმის ლანჩების კვალი ატყვია, კარიც დამტვრეულია, სხვა რამეც არ არის წესრიგში. - - რუსები რომ გავიდნენ, თითქმის ყველაფერი დამტვრეული დატოვეს, - მეუბნება ბატონი ზაზა - ოთახები და ავეჯი ჩვენი ძალებით შევაკეთეთ, კედლები შევღებეთ. ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ. ისე რომ, შემოსვლა გესიამოვნებოდა. ივლის-აგვისტოში ჩვენ, მთელი ბრიგადა, აფხაზეთში წავედით. აქ საპატრულო და საბადრაგო ლეგიონები, შემდეგ თელავის ბატალიონი შეიყვანეს... ხედავთ, რა დღეშია შენობა! ოთახები დაანგრიეს, სარკეები დალეწეს, ტელევიზორები გაიტანეს. თითქმის ყველა კარი გატეხილი დაგვხვდა. ახლა ყველაფერი თავიდან არის გასაკეთებელი!...

მართლაც, პატიოსანი ჯარისკაცი ასე დაპყრობილ ქალაქშიც არ მოიქცევა. როცა საკუთარი ღირსების გრძნობას კარგავს ადამიანი, მას უკვე აღარაფერი ადარდებს.

თებერვლის ცივი დილაა, გარეთ ხავერიელად თოვს, ჯარისკაცები მოედანზე იკრიბებიან და უხალისოდ დგებიან მწყობრში. დღეს აქ საზეიმო დღეა, ახალწვეულები ფიცს იღებენ, თუმცა საზეიმო განწყობა არავის ეტყობა, ეს უფრო ვალის მოხდას ჰგავს. იქვე, ზოგიერთები მწყობრიდან ჩვენს ფოტორეპორტიორს თედო ნიკოლაიშვილს ეძახიან „ფოტოგრაფ", ჩვენსკენაც მოაბრუნე აპარატი...

დათვალიერება და ფიცის მიღების ცერემონიალი მალე თავდება. ჯარისკაცები სამწყობრო მარშით მოედანზე დააბიჯებენ და ბრიგადის მეთაურს მიესალმებიან. შემდეგ, ბრძანების თანახმად, თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მიეშურებიან. შინაგანი ჯარის მებრძოლები ჩამოყალიბების დღიდან ჩვენში მიმდინარე ყველა პოლიტიკურ მოვლენებში აქტიურად მონაწილეობდნენ. ისინი იბრძოდნენ სამაჩაბლოში, აფხაზეთში, დასავლეთ საქართველოში. თუმცა, განაწესით საბრძოლო ოპერაციები მონაწილეობის მიღება მათი საქმე არ გახლავთ... ისინი, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები [illegible] რიგს უნდა იცავდნენ. [illegible] არ იშურებენ ენერგიას ბიჭები. ბოლო დროს დამნაშავეობის წინააღმდეგ ჩატარებულ ფართომასშტაბიან ოპერაციებში [illegible]

საქართველოში რეგულარული არმიის შექმნას რომ სერიოზული წინააღმდეგობები ახლავს თან, ამას ყველა თვალნათლივ ვხედავთ. უკვე რამდენი წელიწადია ამ მხრივ თითქოს ინტენსიური მუშაობა წარმოებს, მაგრამ ჯერჯერობით ნორმალურად გაწვრთნილი და აღჭურვილი ერთი შენაერთიც ვერ შევქმენით. არადა, უკვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ საქმისათვის უამრავი თანხებია დახარჯული. მიუხედავად ამისა, ქართულ ჯარს დღეს არა აქვს თავის ფორმა, აღჭურვილობა, ვინც რას იშოვის, იმას იცვამს და იხურავს. თოვლსა და ყინვაში ჯარისკაცები ხშირად რეზინის სპორტული ფეხსაცმელით დადიან. თბილი საზამთრო ჩასაცმელი კი მათთვის ფუფუნება გახლავთ. არადა, ქალაქში თბილ სამხედრო ქურქებში გახვეული ჭეელები მედიდურად დააბიჯებენ და ხალხს შიშის ზარს სცემენ. ჯარს ასევე არ ყოფნის საკვები, იარაღი და სხვა. ძნელია ამ ვითარებაში მათ სერიოზული პრეტენზიები წაუყენო.

შინაგანმა ჯარმა და პოლიციამ უნდა შეძლოს სახელმწიფოში წესრიგის დამყარება. შინაგან ჯარს, უპირველესად, ეს ფუნქცია აკისრია, ასეც ხდება. შინაგანი ჯარის პირველი ოპერატიული ბრიგადის მებრძოლები, დღეს რესპუბლიკის სასიცოცხლო ობიექტებს იცავენ, თუმცა, ამ მისიის შესრულებაში მათ სერიოზული სიძნელეების გადალახვა უხდებათ. ჭირს პროფესიული კადრების სამხედრო სამსახურში მოზიდვა. რესპუბლიკაში გაწვევის კამპანია თითქმის ჩაშლილია. ამიტომაც შინაგანი ჯარის კონტინგენტი ოც პროცენტამდეც ვერ არის დაკომპლექტებული. საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის პირველი ოპერატიული ბრიგადის მეთაურის, პოლკოვნიკ ილია ბაზერიშვილის აზრით, ეს ქვეყანაში გამეფებული უწესრიგობის ბრალია, არ მოქმედებს კანონი. დეზერტირები უმეტესად დაუსჯელი რჩებიან.

— ჩემი აზრით, - ამბობს ბატონი ილია, - ქართული ჯარის წინააღმდეგ მითქმა-მოთქმა რომ შეწყდეს და, ბოლოს და ბოლოს, ჯარი ჯარს დაემსგავსოს, ხელისუფლებამ ყველა შეიარაღებული ფორმირება კანონგარეშედ უნდა გამოაცხადოს და ჯარის ხელახალ ჩამოყალიბებას შეუდგეს. მას სათავეში უნდა ჩაუდგეს ისეთი კაცი, რომელიც გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და სამშობლოს სიყვარულით. ეროვნულ ჯარში ვერ უნდა მოხვდეს შემთხვევითი პიროვნება. დღეს კი პირიქით არის საქართველოში ბევრი ნაძირალა თავს ჯარს აფარებს.

შინაგანი ჯარის პირველი ოპერატიული ბრიგადა ამ საერთო განუკითხაობის ჟამს, მაინც ახერხებს თავისი ფუნქციის შესრულებას...

შოთა მაჭარაშვილი

გვწერენ

„ჩვენთვის სულერთი არ არის..."

პატარა ნავმა ნაპირ-ნაპირ უნდა იცუროსო, - გვასწავლიდნენ კლასიკოსები. ჩვენ კი აფრააშვებულები შუაგულ ოკეანეში შევიჭერით, რადგან თავი „დიდ ხომალდში" წარმოვიდგინეთ. თურმე, ნუ იტყვით, წარმოსახვითი ხომალდი ძირგავარდნილი ყოფილა... და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, წყალში ჩავარდნილები, თავის გადასარჩენად შეუბრალებლად ხელს კრავენ გვერდით მყოფ ჩასაძირად განწირულებს. ვაგლახ! ერთადერთი რაც დღემდე შემოგვრჩა — თავდაცვის ინსტინქტია.

მართალია, ასეთი თავდაცვას მინისტრი არ სჭირდება, მაგრამ თუ კი სამინისტრო არსებობს, „სამინისტრომ" რაღა დააშავა?

დადგება დრო, როცა სახელმწიფოს მეთაური თავდაცვის მინისტრის მძიმე ტვირთისაგან უნდა გათავისუფლდეს.

ვის დანიშნავენ მინისტრად? დღეს ეს კითხვა ყველაზე მეტად იმათ აწუხებთ, ვისაც ერისა და ქვეყნის დაცვა ევალება. ყველას თავისი რჩეული ჰყავს. „ზოგს [illegible] მოსწონს, ზოგს ფოფოლიაო", მაგრამ გვარდიელები, რომელთა წერილები მრავლად არის სარედაქციო ფოსტაში, ერთხმად უპირატესობას ანიჭებენ გენერალსაც და... მის ცოლსაც. [illegible] დიდ სიმპათიებს [illegible] ნაცნობობით ხსნიან, ხოლო მისი მეუღლის პიროვნებისადმი ინტერესის აღძვრას ჩვენი გაზეთის დამსახურებად მიიჩნევენ.

აი, რას წერს პოლკოვნიკი გიორგი ებიაშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" საგანგებო გამოშვება „აბჯარში" ჯემალ ჭუმბურიძის ცოლთან ინტერვიუმ ყველა გვარდიელის ყურადღება მიიპყრო. რატომ? - ჯემალ ჭუმბურიძე ის კაცია, რომელიც გვარდიაში ყველას თანაბრად უყვარს, მის პიროვნულ თვისებებს ჯეროვნად აფასებს და თავდაცვის მინისტრის პოსტზე ერთ-ერთ ღირსეულ კანდიდატურად მიიჩნევს. სასიხარულოა, რომ გვარდიელთა რჩეულის მეუღლეც რჩეული ჰყოლია. რომ არ განხორციელდეს „ცოლების საკრებულოს" შექმნის იდეა, ქალბატონ ცისანას გულისხმიერებას და ჟურნალისტის მშვენიერ თაოსნობაზე მის გამოხმაურებას მაინც ჩვენი დაღუპული ბიჭების ოჯახებზე ზრუნვად აღვიქვამთ".

„მტერთან ბრძოლა უფრო მეხერხება, ვიდრე წერა, - ასე იწყებს თავის წერილს თამაზ ნაცვლიშვილი. - „აბჯარში" ჯ. ჭუმბურიძის ცოლთან საუბარი რომ წავიკითხე, ჩემი აზრის გამოთქმის სურვილი გამიჩნდა. ვისაც ბრძოლაში არ უნახავს, ის ჯემალ ჭუმბურიძეს არ იცნობს. დღეს ქართველ კაცში ყველაზე მეტად დასაფასებელია სინდის-ნამუსი, ერთგულება, თავგანწირვა. სწორედ ამ თვისებების გამოა სამაგალითო ჩვენთვის, - ახალგაზრდებისათვის, ჩვენი გენერალი. კარგი იქნება თუ თანამდებობის პირთა ცოლები ჯ. ჭუმბურიძის ცოლს მიბაძავენ, დაღუპული ბიჭების ქვრივ-ობლებზე დაფიქრდებიან და მხარში ამოუდგებიან მათ".

„საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი რუსი ვარ, ქართული მიწის ერთიანობისათვის ქართველებთან ერთად ვიბრძოდი და კიდევაც ვიბრძოლებ. ამიტომ ჩემთვის სულერთი არ არის, ვინ იქნება თავდაცვის მინისტრი. მე უნდა მჯეროდეს მისი. ჩემს თანამებრძოლებში ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს, ბრძოლის დროს საზრიანი, გამჭრიახი უნდა იყოს, მეგობრობისა და მამულის სიყვარულში - ულალატო, უანგარო. ბიჭებს ასეთად გვევლება ჯემალ ჭუმბურიძე... მისი მეუღლე, კორესპონდენტთან საუბარში, ძუნწად ახასიათებს გენერალს, მაგრამ ჩვენზე, უკეთ ვინ იცის მისი, როგორც მებრძოლისა და მეთაურის ფასი" - [illegible] გენადი ციგანკოვი.

- საქართველოს ეროვნული გვარდიის სამმართველოს უფროსს, გენერალ-მაიორ ჯ. ჭუმბურიძეს თავდაცვის მინისტრის პოსტზე ერთ-ერთ ღირსეულ კანდიდატურად ასახელებენ და მისი მეუღლის მისამართით დაღუპული ბიჭების ოჯახებისადმი გულთბილი დამოკიდებულებისათვის - სამადლობელ სტრიქონებს არ იშურებენ ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი გოგიბერიშვილი, ვახტანგ კიკნაძე, არჩილ სულაქველიძე, სოსო ქებურია და სხვები.

ვინ იქნება მინისტრი? ჯერჯერობით არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ნდობისა და სიყვარულის ამგვარ „შემოტევას" ბარიერი გენერალი ვერ მოიგერიებს.

ლეილა კოშკაძე

მადლობა — მუქარით

[illegible] ში მოსულმა ახალგაზრდამ [illegible] ერთფურცლიანი წერილი [illegible], თან [illegible] მუქარა [illegible] და უკან მოუხედავად გავარდა.

„დაჭრილი, დიდხანს ვიწექი... ოპერაცია გამიკეთეს რესპუბლიკური საავადმყოფოს თვალის სნეულებათა განყოფილებაში... მინდა მადლობა გადავუხადო ექიმებს ნათელას და ჯემალს... ეს წერილი სასწრაფოდ დამიბეჭდეთ..." მეტის ამოკითხვა ვერ მოვახერხე.

და აი, შიშმა კი არა, ცნობისმოყვარეობამ რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს თვალის სნეულებათა განყოფილების გამგესთან ლერი ბახტაძესთან მიმიყვანა.

— თქვენზე წერილის დაწერა მაქვს „ნაბრძანები":

— ჩვენზე წერილის დაწერა ძალიან გაგიჭირდებათ. გულწრფელად ილიმება და ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან" ერთ ნაწყვეტს იხსენებს.

— თოფის წამალი გაქვს? ჩურჩულით ეკითხება დახლზე გადახრილი ილარიონი გამყიდველს.

— არა!

— ტყვია?

— არც ტყვია

— ეზალა?

— ეზალა რა ჯანდაბაა?

— კაპსულია, შე უბედურო. პიჟი?

— ვინ არის შენი პიჟი! - ყვირის გამყიდველი.

— პაიტ, შე გლახა, შენ მასწავლი ყვირილს!

— კაცო, მომაშორეთ, თორემ მოვკლავ. ხელს შლის გამყიდველი.

— რითი მომკლავ შე მათხოვარო, ტყვია შენ არა გაქვს და წამალი! - ყვირის ილარიონი.

... და ლამის იმავე ტონში გააგრძელო - აბა რით დაიმსახურეთ ავადმყოფთა ასეთი გულმოდგინება - მადლობის გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში ჩემს სიცოცხლეს რომ ემუქრება?

— ნაცნობი მელოდიაა! - კვლავ კეთილად ილიმება ბატონი ლერი.

— ოპერაცია ხშირად ზურგში ავტომატმიბჯენილებს გაგვიკეთებია. ასეთი „ყურადღების ცენტრში" ყოფნა ეტყობა ჩვენი შესანიშნავი დასტაქრების ნათელა მათირიშვილისა და ჯემალ ცაბაძის წყალობით მოვხვდით. ეს პირველი შემთხვევა როდია. ნათელამ და ჯემალმა კარგახანია საყოველთაოდ სიყვარული და აღიარება მოიპოვეს, ყველა ავადმყოფს ერთნაირად სწამს მათი მადლიანი მარჯვენისა და გულისხმიერებისა... მაგრამ ამჯერად გამოხატვის ფორმაა განსხვავებული. ნათელას და ჯემალს ტოლს არ უდებს წლების მანძილზე პროფესორების გ. მაჭილოვასა და ა. ალექსიძის გვერდით დაოსტატებულ ექიმთა მთელი პლეადა, რომელიც ჩვენი განყოფილების მშვენებაა.

— საოპერაციოდ რა დასჭირდება? - შეწუხებული კითხულობს ავადმყოფის პატრონი.

— ბამბა 300 გრამი, სპირტი 300 გრამი, ბინტი 5 ცალი, საპონი 2 ცალი, ბენზინი 3 ლიტრი...

ნათელა შათირიშვილი ქაღალდის ნაგლეჯზე გაჭირვებით ათავსებს გრძელ ჩამონათვალს.

— ავადმყოფს რომ ამდენ რამეს მოსთხოვ და ოპერაციას ფარნის შუქზე გააკეთებ, რაღაზე შეიძლება ლაპარაკი? - გულისტკივილით ამბობს ქალბატონი ნათელა.

- ა, ბატონო, ესეც თქვენი „ავტომატიანი" ავტორის სანაქებო საავადმყოფო. ხუმრობას არ იშლის ბატონი ლერი და ჯემალ ცაბაძესთან ერთად ნეტარებით იგონებს მოზამბიკისა და ანგოლის საავადმყოფოებს - იქ რომ პირობები გვქონდა! რა საოპერაციო, ხელსაწყოები, მედიკამენტები, რა დაჭრილები - მშვიდნი, დამჯერნი... სამაჩაბლოში ვიბრძოდი. აფხაზეთში შვილებმა პაატამ და ლერიმ არ გამიშვეს, ჩვენ ვიბრძოლებთ, შენ შენი საქმე აკეთეო. მძიმე დღეები გადაიტანა საავადმყოფოს მედპერსონალმა. მარტო ჩვენს განყოფილებაში ასზე მეტმა დაჭრილმა გაიარა და თითქმის ყველა აგრესიული იყო. არ მეგონა მადლობის სათქმელადაც თუ იგივე ხერხს გამოიყენებდნენ.

ამიტომ, მეც მუქარის [illegible] ლებას ჟურნალისტური ხერხი [illegible] ჯობინე და ვფიქრობ, გამიმართლა — შევხვდი მაღალკვალიფიციურ მედიკოსთა კიდევ ერთ ჯგუფს, მძიმე პირობებშიც პროფესიული სინდისი რომ არ ღალატობს და „მუქარის გარეშეც" მადლობას იმსახურებს.

ლეილა ჭედია

რა ენა წახდეს...

დაყაჩაღება? — არა!

1948 წელი...

ომის ხანძარში გახვეული მთელი მსოფლიო. ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რითი და როგორ გათავდება ეს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მოწინავე კაცობრიობის ძალებსა და ფაშისტურ ბანაკს შორის. იმ ხანებში თბილისში იმყოფება ამიერ-კავკასიის ფრონტის შტაბის კულტურის განყოფილების უფროსი, პროფესორი ივანე ანისიმოვი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე. შემდეგში მოსკოვის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, უცხოეთის ლიტერატურის საკითხებზე უამრავი ნაშრომისა და გამოკვლევის ავტორი. ომის წლებში იგი განაგებდა ზემოხსენებული ფრონტის ჯარებში კულტურულ წამოწყებებს, კერძოდ, ლიტერატურის პროპაგანდის საქმეს. ამ მხრივ ის კარგად იყო ინფორმირებული და ყველაზე ადრე შეიტყობდა ხოლმე, რა ხდებოდა მსოფლიოში. ანისიმოვი ახლოს იცნობდა მოწინავე ქართველ მწერლებს — გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, გრიგოლ აბაშიძეს, ირაკლი აბაშიძეს და იშვიათი სტუმარი როდი იყო მწერალთა კავშირისა. იგი აქვეყნებდა წერილებს ქართული „ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე. და აი, ერთ დღეს მან გაუზიარა ქართველ მწერლებს ერთი ფრიად საინტერესო ცნობა — იმ ხანებში პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში გამართულა ცხარე კამათი ფრანგული ენის გრამატიკის საფუძვლებსა და ლექსიკონზე. საშინელი ტერორის მიუხედავად, როცა ჰიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს და დახვრიტეს გამოჩენილი ფრანგი მწერლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, იმ მეცნიერებმა, ვინც გადარჩა, ვინც გადაურჩა ამ ყოვლისშემმუსვრელ ტალღას, გულზე ხელი როდი დაიკრიფეს, თურმე, ფრანგი აკადემიკოსები სისტემატურად იკრიბებოდნენ ხუთშაბათობით, განიხილავდნენ ფრანგული ენის გრამატიკისა და ლექსიკონის გამოცემის საკითხებს და მთელ საათებს ანდომებდნენ თითოეული სიტყვის, აზრისა და ფორმის დადგენას. შეუტყვია ეს ამბავი ჰიტლერელთა პროპაგანდის მინისტრს, იოზეფ გებელსს და მასხარად აუგდია ფრანგი მეცნიერები — რაღა დროს ახლა გრამატიკასა და ლექსიკონზე ფიქრი და ზრუნვაა, როცა საფრანგეთი სულს ლაფავს, მისი ისტორია დამთავრდა და ეს სასაცილო ბერიკაცები რაღაც გრამატიკის ნამცეცებს მისტირიანო. მაგრამ ახლა ხმა აღიმაღლა გენერალმა შარლ დე გოლმა, რომელიც იმ დროს ლონდონში იმყოფებოდა. იგი ორგზის გამოვიდა რადიომოწოდებით. მიესალმა ფრანგ მეცნიერთა წამოწყებას და დასძინა — დიდება და სახელი თქვენს ღვაწლსა და თაოსნობას, თქვენ უჩვენეთ მსოფლიოს, რომ ყველაფრის მიუხედავად, საფრანგეთი ცოცხლობს და მოქმედებს, რომ ძლიერი და უკვდავია იგი. ჭეშმარიტად, ჩვენს ხალხში იზრდება ამგვარად სულის წარმტაცი მოსავალი, ფრანგული აზრი არა თუ შეულახველი დარჩა თავის საწყისებში, პირიქით, იგი კვლავ განახლებული და გაახალგაზრდავებული გვევლინება. ერის იმედმა ხელი ჩასჭიდა ციკაბო კლდიზე გაწვდილ ორ ქიმს — ერთი მათგანია ხმლის ნამსხვრევი და მეორე — ფრანგული სიტყვა.

ისტორიამ გვიჩვენა, ვინ იყო მართალი — სახელოვანი გენერალი შარლ დე გოლი, თუ ყავისფერი მინისტრი გებელსი. საპიენტი სატ, — როგორც უთქვამთ ძველ რომაელებს — გამგები გაიგებს.

ახლა კი უფრო კონკრეტულად ამ წერილის მთავარ სათქმელზე.

ყაჩაღი თურქული სიტყვაა (კაჩაკ) და ქართულში გვიან არის შემოსული. ძველ ქართულში არ გვხვდება, არც საბას „სიტყვის კონაში" (XVIII ს.), არც ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში (XIX ს. დასაწყისი). პირველად (ლიტონად) დასტურდება დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში (XIX ს. მეორე ნახევარი). ამჟამად, დამოწმებულია ქართული ენის ყველა განმარტებით ლექსიკონში. შეთვისებული უნდა იყოს ზეპირი გზით. გურულ დიალექტში იხმარება თურქულთან მიახლოებული წარმოთქმით (კაჩაღი). ღ. მაგაზანიკის განმარტებით, თურქულად ნიშნავს მარდს, ჩქარს, მამაცს, გამბედავს; დეზერტირს, გაქცეულს, გავარდნილს. ამ სიტყვასთან არის დაკავშირებული აგრეთვე: ყოჩი (თურქ. კოჩ), ყოჩაღ! ყოჩაღი (კოჩაკ), ყაჩაღანა. დღეს ყაჩაღი გავრცელებული სიტყვაა და ნიშნავს ავაზაკს, მოძალადეს, იარაღით თავდამსხმელს, წამგლეჯს, მეკობრეს, ბანდიტს, მკვლელს, დამრბევს, განგსტერს. აქვს რამდენიმე სახელური და ზმნური პარადიგმა: ყაჩაღობა, გაყაჩაღება, გაყაჩაღებული, ყაჩაღობს, გაყაჩაღდა, დაყაჩაღდა, დაყაჩაღება, დააყაჩაღეს. ბოლო ხანებში მოდურად იქცა **დაყაჩაღება**, რომელიც ისმის ზეპირმეტყველებაში, ორატორთა გამოსვლებში მაღალი ტრიბუნებიდან, რადიო-და ტელეგადაცემებში, პრესაშიაც — უფრო მეტად, უადგილო ადგილას, შეცდომით. ეს მცირე სტატიაც ამ გარემოებამ დაგვაწერინა.

დაყაჩაღება **და** პრევერბით (ზმნისწინით) შედგენილი საწყისია. პრევერბს საერთოდ, **და** პრევერბს კერძოდ, ქართულში დაკისრებული აქვს ოთხი ფუნქციის შესრულება: აჩვენოს ორიენტაცია, გეზი, ასპექტი (სახე), აწარმოოს ახალი ფუძეები. ამ ფუნქციებს ასრულებს **და** პრევერბიც. **დააყაჩაღა** ფორმაში **და** უწინარეს ყოვლისა სრული ასპექტის გამომხატველია: აყაჩაღებს (იგი მას), დააყაჩაღა (მან ისინი — ობიექტი მრავლობითშია), ზრდის (იგი მას), დაზარდა (მან ისინი, ობიექტი მრავალია), ასევე: ასუქებს (იგი მას), დაასუქა (მან ისინი), აფრენს (იგი მას), დააფრინა (მან ისინი), აცხობს (იგი მას), დააცხო (მან ისინი), აგიჟებს (იგი მას), დააგიჟა (მან ისინი). პრევერბიანი ფორმების სუბიექტი შეიძლება იდგეს მხოლობითშიც და მრავლობითშიც (შდრ.: გვრიტმა დააფრინა ბარტყები, გვრიტებმა დააფრინეს ბარტყები), მაგრამ ობიექტი, როგორც ვხედავთ, მხოლოდ მრავლობითშია. დააყაჩაღა ნიშნავს, რომ სუბიექტმა (მან) ყაჩაღებად აქცია ისინი — მრავალი. ობიექტის მრავლობითობას ამ ტიპის ზმნებში აწესრიგებს სწორედ **და** პრევერბი.

და ისევე, როგორც სხვა პრევერბები, აწარმოებს სხვადასხვა მნიშვნელობის ახალ ფუძეებს. **წყვიტ** ძირიდან, მაგალითად, მიღებულია: შეწყვიტა, გაწყვიტა, მიაწყვიტა, მოწყვიტა, შეაწყვიტა, დაწყვიტა; **წერ** ძირიდან: შეაწერა, გააწერა, მისწერა, დაწერა, წააწერა; **კეთ** ძირიდან: გააკეთა, შეაკეთა, მიაკეთა, დააკეთა; **ცალ** ძირიდან: მიიცალა, მოიცალა, დაიცალა, წაიცალა... **და** პრევერბი აწარმოებს ისეთ ზმნურ სტრუქტურებს, რომელთა ობიექტებს, როგორც ითქვა, მხოლოდ მრავლობითობის გაგება აქვთ. კერძოდ, **დააყაჩაღა** ნიშნავს ყაჩაღებად აქცია ისინი, მრავალი საკუთრივ **და**-ს ამისთანა სტრუქტურებში ინტენსიობის მაწარმოებელ პრევერბს უწოდებენ. ქართული გრამატიკის წესთმეტყველი აკაკი შანიძე სამართლიანად ამბობს: „როცა ობიექტი მხოლობით რიცხვშია ნახმარი, მაშინ ერთ პრევერბს იყენებს ენა (გა, მო, შე, გამო და სხვა), მაგრამ როცა ობიექტი მრავლობითში გადადგება, მაშინ შეიძლება ზმნაში ჩვეულებრივ ზმნისწინს **და** შეენაცვლოსო". **დააყაჩაღა** ფორმაში **და** პრევერბი სწორედ ამ ინტენსიობის ობიექტის სიმრავლეს გვიჩვენებს.

გვაქვს გამოთქმები: წვრილი ქურდები დააყაჩაღაო, გულუხვნიც კი დააძუნწაო, ე. ი. ყაჩაღებად, ძუნწებად აქციაო. ასეთივე ზმნებია აგრეთვე: დააგიჟა, დაასუქა, დააღვიძა, დააცოცხლა, დააცურა, დააძლო, დათხარა, დააცოფა, დაახმო და ა. შ.

შევადაროთ ერთმანეთს **დააგიჟა** და **დააყაჩაღა**. გრამატიკულად ორივე სწორი ფორმაა. **დააგიჟა** ნიშნავს, რომ მან ისინი გიჟებად გახადა (შდრ.: „კაცო, ისეთი რამ გვითხრა, კინაღამ დაგვაგიჟა!"). **დააყაჩაღა** ასევე ბევრის ყაჩაღად ქცევას ნიშნავს (შდრ.: „ამ ავაზაკების თარეშმა წვრილი ქურდებიც დააყაჩაღა!"). ასე რომ, **დააგიჟა** და **დააყაჩაღა** ინტენსიობის **და** პრევერბით წარმოქმნილი სწორი ფორმებია და ცხადად ნიშნავს გიჟებად, ყაჩაღებად ქცევას (მრავლობითის გაგებით) და არა გიჟურად თუ ყაჩაღურად მოქმედებას. სხვანაირი გრამატიკული თუ სემანტიკური გაგება ამ ფორმებს არა აქვთ.

ახლა ვნახოთ, ზეპირსა და წერით მეტყველებაში, ხშირად თუ როგორ იხმარება დაყაჩაღება ფორმა. კაცს ყურს სჭრის გამოთქმები: „ბანდიტებმა სამი სოფელი ერთიანად დააყაჩაღეს", „აღირიცხა დაყაჩაღების ათი შემთხვევა", „ხიზნებიც არ დაინდეს, დააყაჩაღეს და გაძარცვესო". ბოლო გამონათქვამში სწორად არის აღნიშნული გაძარცვესო, მაგრამ უმართებულოდ ნათქვამია დააყაჩაღესო. ავაზაკებმა ხიზნები ყაჩაღებად აქციეს, თუ მათ ყაჩაღურად თავს დაესხნენ და დაარბიეს? ვამბობთ ერთს, ვგულისხმობთ მეორეს. უნდა გვეთქვა: ყაჩაღურად თავს დაესხნენ, ყაჩაღურად დაარბიეს, გაძარცვეს, აიკლესო.

სიტყვის უმართებულოდ ხმარებას ხელი შეუწყო ყაჩაღობის აღვირაწყვეტილმა თარეშმა და ხალხის აწიოკებამ. საოცრად გახშირდა ავაზაკობა, რბევა, ძარცვა, ძალადობა, შეიარაღებული თავდასხმა, მკვლელობა, ადამიანის აბუჩად აგდება, მეკობრეობა. ამ ბოროტმოქმედებათა აღსანიშნავად, ქართულ ენას ეპითეტთა მთელი სისტემა მოეპოვება (ავაზაკობა, გაქურდვა, რბევა, მძარცველობა, დაწიოკება, აკლება, მოძალადეობა, მზაკვრობა, მკვლელობა, შეიარაღებული თავდასხმა, დაუნდობლობა — ერთად ყაჩაღობა... ან მსგავსი ბოროტების ჩამდენნი: ავაზაკი, ქურდი, დამრბევი, მძარცველი, აწიოკებელი, მარბიელი, ამკლები, მოძალადე, კაცთმოძულე, მზაკვარი, მკვლელი, თავდამსხმელი, დაუნდობელი, მეკობრე, ბანდიტი), კაცს საშუალება აქვს, აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი, თუნდაც მარბიელი ან დამრბევი, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, ადამიანებს გაუგონარი ბოროტმოქმედებათა აღსანიშნავად უფრო მწვავე, სუსხიანი სიტყვის ხმარება სურთ. ეს ფსიქოლოგიურად სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ ამ მიზნით გამოდგება კი დაყაჩაღება? ნამდვილად ვერ გამოდგება. მისი დამკვიდრება აუტანელი ხელოვნურობა იქნება. თუკი ამ ბოროტების აღსანიშნავად, ნაცნობი და ზემოთდასახელებული ეპითეტების რკალიდან მისაღებად არცერთი არ მოგვეჩვენება, მაშინ სალიტერატურო ენისა და დიალექტების ლექსიკურ საგანძურში, ზეპირსა და წერილობით მეტყველებაში, კვლავ უნდა დაიძებნოს სხვა უფრო შესაფერისი სიტყვა, რომელსაც მოიწონებს და მიიღებს საზოგადოებრიობა. ბოლო ხანებში ბევრი მარჯვე ნეოლოგიზმი შემოვიდა ენაში და გავრცელდა. დაყაჩაღების ასე ხელოვნური მნიშვნელობით ხმარება ამ როლს ვერ შეასრულებს. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, დაყაჩაღება სიტყვის ხმარების წინააღმდეგ როდი ვილაშქრებთ. სიტყვამ რა დააშავა! ის უნდა ვიხმაროთ თავის ადგილას, ნამდვილი და არა ხელოვნურად მიკერებული მნიშვნელობით.

შეიძლება გვკითხონ: ენაში აქა-იქ მაინც ხომ თავს იჩენს ხელოვნურად წარმოქმნილი სიტყვები? დიახ, მათ დაყაჩაღებაც მიემატოსო! ენაში ზოგჯერ მართლა შეიძლება, გავრცელდეს ხელოვნურად წარმოქმნილი სიტყვა და მას ახალი მნიშვნელობა მიეცეს. ამის მაგალითებს ყველა ენის სალაპარაკო ლექსიკა იცნობს. გამონაკლისი არც ქართულია. გამზირი, მუნარსი, მართლწესრიგი, გამჭოლი და ათობით სხვა ასე წარმოქმნილი სიტყვა ორგანულად შეუსისხლხორცდა დედაენას, მაგრამ ისეთმა ფუჭმა ხელოვნურმა გამოთქმებმა, როგორიც არის გვაბანაკი, რონოდა და სხვა, ფეხი ვერ მოიკიდა, და კანონზომიერადაც. გავიხსენოთ თუნდაც, თუ როგორ მტკივნეულად მიიღო საზოგადოებამ **დამსვენებელი** იმ პირის აღსანიშნავად, რომელიც თავად ისვენებს და არა იმ პირისა, სხვას რომ ასვენებს. ახლაც ვამბობთ, დასასვენებელი სახლიო! აქ განა სახლს ასვენებენ, თუ ადამიანებს? ხელოვნურობა ამაზე შორს წავა! ხომ სჯობდა, მივეღო ბუნებრივი **დამსვენი, დასვენების სახლი?** მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა, უმართებულოდ ნახმარი გამოთქმა გავრცელებულია. ზეპირმეტყველებაში კაცი ხშირად ყურს მოჰკრავს ასეთ სტრუქტურებს: დახანჯლა, დათოფა, დაათოხმახა, დაწალდა, დატუკა (ტუკი დიალექტური სიტყვაა, კეტს ნიშნავს), დანამგლა, დაკომბლა, დააჩომბახა, მაგრამ ისინი სალიტერატურო ენის კუთვნილებად არ მიიჩნევიან.

რატომ უნდა გავიჭირვოთ გაუჭირვებელი და მაინცდამაინც **დაყაჩაღება** ავიკვიატოთ! სიტყვას არ უნდა აეკიდოს ის ტვირთი, რის აწევასაც მას არც გრამატიკა და არც სემანტიკა აკისრებს.

ჩვენი ეპოქა ისტორიული მოვლენების მომსწრეა. თავისუფალი საქართველოს მშენებლობის წლებში ბევრი სიახლე დამკვიდრდა ხალხის ყოფაში, საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, დაიწყებას ეძლევა ძველი, მოდის ახალი. ისტორიული ლექსიკონების კუთვნილება გახდა ადრე აღზევებული ტერმინები და სიტყვათშეერთებანი: რაიკომი, რაისაბჭო, ცეკა, თემალმასკომი, საბჭოთა კავშირი, უმაღლესი საბჭო, კოლწევრი; თავისი უფლებები დაუბრუნდა ჩრდილში მიტოვებულ სიტყვებს: გამგებელი, მმართველი, სამმართველო, საკრებულო; გამოჩნდა ახალი ტერმინები თუ ნეოლოგიზმები: გაერო, პრემიერი, ვიცე-პრემიერი, პარლამენტის სპიკერი, პარლამენტარი, ჰუმანური დახმარება და სხვა. ყოველივე ეს ბუნებრივად აისახა ქართულ ენაში, უწინარეს ყოვლისა, მის ლექსიკაში: ხმარებიდან გავიდა მოძველებული, ხმარებაში შემოვიდა თანამედროვე ყოფისათვის შესაფერისი ახალი. მაგრამ აქ ზომიერების დაცვა გვმართებს. ყოველგვარი „ძველის" დავიწყება და ეგრეთწოდებული „ახლის" აღზევება სასურველი არ არის. კანონიერი ფორმების გვერდით უკანონო სტრუქტურების უკონტროლო აქტუალიზებას თავი უნდა ავარიდოთ. დედაენას სათუთად უნდა მოვეპყრათ და მოვუაროთ. დაყაჩაღებასთან ერთად, გამართლება არა აქვს ცალსახა, რამეთუ, დაოქმება და მისთანა სიტყვების ასე წარმოქმნა, უმართებულოდ და უადგილოდ ხმარებას.

დედაენის სიწმინდის დაცვა ჩვენი საშვილიშვილო მოვალეობაა. ეს კერძო საქმედ არ უნდა მივიჩნიოთ, არც არასოდეს მიიჩნეოდა! ამას წინათ, ერთ გაზეთში შეწუხებული ჟურნალისტის ასეთი სტრიქონები ამოვიკითხეთ: გოგოს ქუჩაში იარაღით აშინებენო. სიყვარულის მოპოვება ავტომატით უნდათო, მშვენიერი ნარკვევის ავტორი სამართლიანად დასძენს: „ვერც მოიპოვებენო, რადგან ღირსება და ძალადობა ძალიან შორს დგას ერთმანეთისაგან. ეს ავტომატიანი ბიჭები კი სამშობლოსათვის დაცემული ბიჭების ღირსებასაც ლახავენ და ჩრდილს აყენებენ მათ წმიდა სახელებს (რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ბოლო დროს „ომის კანონის" სახელით დაუნდობლად **დაყაჩაღებულ** „საკუთარ ხალხზე", ნახევარ საქართველოზე)". საინტერესო ნარკვევს აუფერულებს **დაყაჩაღებულ** სიტყვის არა თავისი ნამდვილი მნიშვნელობით ხმარება! სავალალოდ, ეს გამონაკლისი როდია!

გიორგი ნატროშვილი,
ალექსანდრე ღლონტი.

ამჯერად — მშვიდ ატმოსფეროში

(დასასრული)

შევთავაზეთ კონფლიქტის მოგვარების გზებიც. როცა აფხაზეთის ავტონომიის უფლებები ჩამოვთვალეთ, ბევრმა გაიკვირვა. ზოგიერთმა ისიც კი იკითხა, მეტი რაღა არის საჭიროო. მე განვაცხადე, რომ მომხრე ვარ გაგრძელდეს მოლაპარაკება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ, ოღონდ ერთი პირობით: ლტოლვილები ღირსეულად უნდა დაბრუნდნენ შინ. უშიშროების საბჭოს სხდომაზე ყველა გამომსვლელმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ერთხმად აღიარა, ხაზი გაუსვეს სამშვიდობო ჯარების შეყვანის დაჩქარების, ლტოლვილთა სწრაფად დაბრუნებისა და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გადაწყვეტის აუცილებლობას.

ბატონმა ედუარდმა პარლამენტარებს ისიც უთხრა, რომ ზედმეტი იმედები ნუ გვექნება. შემდეგი ეტაპი გასავლელი გვაქვსო. ეს ეტაპი არის უშიშროების საბჭოში გენერალური მდივნის მოხსენება, რომლის საფუძველზეც საბჭო ჯარების შეყვანის გადაწყვეტილებას იღებს. სიძნელეებიც არ დაუმალავს. იქ სხვადასხვა სტატიებია, მუხლებია, რომლის საფუძველზეც გაეროს უშიშროების საბჭო ახორციელებს ამ მისიას. თუნდაც ის, რომ მეექვსე სტატია მოითხოვს ჯარების შეყვანაზე ორივე მხარის თანხმობას. თუმცა, იქვე დასძინა, თუ ერთ-ერთი მხარე წინააღმდეგია, მაშინ არის მეშვიდე მუხლი, რომლის საფუძველზეც ჯარების შეყვანა მაინც შესაძლებელია, ოღონდ ასეთი გადაწყვეტილება ძნელად მიიღება.

კანადაში ვიზიტის თაობაზე სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, ეს ქვეყანა დიდი შვიდეულის წევრია, საინტერესოა თავისი ბიზნესით და თვითონ კანადა გარკვეულ ინტერესს იჩენს საქართველოს მიმართ. ილაპარაკა კანადასა და საქართველოს შორის ურთიერთობის დეკლარაციის ხელმოწერაზე.

სახელმწიფოს მეთაურმა ბოლოს უპასუხა პარლამენტართა შეკითხვებს.

15 მარტის სხდომის მეორე ძირითადი საკითხი იყო კანონის მიღება ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ. საკითხი პარლამენტარმა გივი ლომინაძემ გამოიტანა. ამთავითვე ვიტყვი, რომ კენჭი ეყარა კანონს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით, გამარტივებული პროცედურით, რომელსაც აბსოლუტურად ყველამ დაუჭირა მხარი. ძალაში კი შევა 15 მაისიდან. მანამ (ორ თვეში) კი უნდა შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც უნდა დაამტკიცოს მინისტრთა კაბინეტმა. ასევე, მინისტრთა კაბინეტმა ამ დროში უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს დადგენილება თავდაცვის იარაღის შესახებ. ეს ეხება გაზის დამბაჩას, რომლის გამოყენება საჭიროების შემთხვევაში ყველგან შეიძლება.

როგორც ბატონმა გივი ლომინაძემ თქვა, საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ პირველად მიიღო ამგვარი კანონი. იგი აქამდე არ არსებობდა. ახლა კი გვექნება ცეცხლსასროლი იარაღის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისა და დარეგულირების ყველა ასპექტის კონსტიტუციური ძალის კანონი. ამასთან, განისაზღვრა თუ ვის აქვს იარაღის დამზადების, ვაჭრობის, შეძენის, შენახვის, გამოყენების უფლება.

— ამ კუთხით კანონში იმდენი შეზღუდვაა, საბოლოოდ იარაღი ექნება მხოლოდ წესიერ, პატიოსან კაცს, — დაგვაიმედა ბატონმა გივიმ. პარლამენტში დიდხანს იყო დავა ამ კანონის ირგვლივ. ბევრი მოითხოვდა მოსახლეობისთვის ყველა სახის იარაღის დაკანონებას. მე და იურიდიული კომისია, ვეწინააღმდეგებოდით ამას. ახლა არ ვნანობთ, რომ ასე გაჭიანურდა მისი მიღება. ამ დროში ბევრი საგულისხმო აზრი შეჯერდა და საბოლოოდ უნივერსალური კანონი მივიღეთ.

ვერავინ შეიმუშავებს ისეთ კანონს, რომელმაც წლების განმავლობაში ცვლილებები არ მოითხოვოს. კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ დღეისათვის ყველაზე საჭირო, ობიექტური და ჩვენი მდგომარეობის ჭეშმარიტი ამსახველია. დღეს ხომ სახელმწიფო ვერ გვიცავს, დაუცველია ჩვენი ქონებრივი უფლებებიც. გაივლის წლები და, დროის შესაბამისად, ობიექტური აუცილებლობის გამო, ეს კანონიც შეიცვლება.

სხდომაზე, „დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლო დაწესებულებების დებულების შესახებ" დასამტკიცებლად გამოიტანა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარემ რაულ კუპრავამ. იყო ცხარე კამათი. არც არის გასაკვირი. ფასიან სასწავლებელთა ირგვლივ ხომ მუდმივი დავაა საზოგადოებაში. საბოლოოდ პარლამენტარებმა ამ საკითხის განხილვა მომდევნო სხდომისთვის გადადეს.

პარლამენტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანას, რომელიც განსახილველად გამოიტანა დეპუტატმა რეზო ადამიამ.

პარლამენტის დადგენილებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში აირჩიეს პარლამენტარები გურამ გეწაძე და მიხეილ ჩხენკელი. ამავე სხდომაზე, პარლამენტის დადგენილებითვე, გარდაცვალების გამო, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეუწყდა თენგიზ აბულაძეს. ცნეს საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის, ზურაბ გოგიას ადგილმონაცვლის, პარტიული სიით არჩეულ გურამ ბერიშვილის, უფლებამოსილება.

იმასაც ვიტყვი, რომ დეპუტატმა გია ხავთასმა მოითხოვა გამოქვეყნდეს იმ ხარჯების სია, რომელიც ხმარდება დელეგაციათა მოგზაურობებს. მან იჭვნეულად იკითხა, რა საჭიროა ჟურნალისტების ამხელა ამალით სიარული და ვინ აფინანსებს მათ.

ირაკლი წერეთელმა და დავით კუპრეიშვილმა კი მოკლე ინფორმაციით შეშფოთების საფუძველი შექმნეს. როგორც მათ განაცხადეს, შეიტყვეს, რომ ერთი კვირაა ფსოუდან ჯავშანტექნიკა და რუსეთის ჯარის რეგულარული ნაწილები შედიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. სამშვიდობო ძალების შეყვანაზე ჯერ გადაწყვეტილება არ არის, მაშინ რა ძალებია, გუდაუთელ სეპარატისტთა დამხმარე ხომ არაა? რაზეც სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხა, რომ მას ამის თაობაზე არავითარი ინფორმაცია არა აქვს, გადაამოწმებს და თუ ეს ასეა, ასეთივე შეშფოთების საფუძველი თვითონ მასაც ექნება.

ამჯერად, სხდომამ მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა. რამდენ ხანს შენარჩუნდება იგი, ძნელი სათქმელია, მით უფრო, როცა წინ გვაქვს მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება (მომავალ სამშაბათს). თუ ამის ირგვლივ კულუარებში ყურმოკრულ დიალოგებსაც გავითვალისწინებთ, ამ სიმშვიდის თავდებად ვერ გამოვდგები.

თუმცა, მკითხველო, დასკვნების გამოტანას ნუ ვეჩქარებით, იქამდე ჯერ კიდევ ერთი, ხუთშაბათის სხდომაა.

რუსუდან ლორთქიფანიძე,
„ხრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

თებერვლის დამდეგს ვაშინგტონში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა მწერალი გურამ ბათიაშვილი, რომელიც რამდენიმე წელია ამ კონგრესის გამგეობის წევრი გახლავთ.

ამ მსოფლიოს ებრაული პარლამენტის წევრებს შეხვედრები ჰქონდათ აშშ კონგრესში, სახელმწიფო მდივან უორენ ქრისტოფერთან. 11 თებერვალს გამგეობის წევრთა მცირე ჯგუფი მიიღო აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა.

გთავაზობთ გ. ბათიაშვილის მიერ კონგრესზე მცირერიცხოვან ებრაულ თემთა სექციაში წარმოთქმულ სიტყვას.

ხიდები

ალორძინებაც იმედით იწყება

მე მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ ებრაელობის ბედზე გარდამავალ ხანაში — იმ ეპოქაში, რომელშიც ერთი სოციალურ-პოლიტიკური ფორმაცია იცვლება მეორე, სულ სხვა, რადიკალურად განსხვავებული სოციალ-პოლიტიკური ფორმაციით.

დღეს საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანა გახლავთ. ქართველები თავიანთი ბუნებით რომანტიკოსები არიან. ეს შესანიშნავი თვისება ბრწყინვალედ გამოვლინდა ქართულ მწერლობაში, მუსიკაში, არქიტექტურაში, ცხოვრების წესშიც კი — ისინი ცხოვრობდნენ როგორც რომანტიკოსები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს თვისება დიდი ვერაფერი მეგობარია პოლიტიკაში. ამ ხუთიექვსი წლის წინათ პოლიტიკური რომანტიზმით გატაცებულ საქართველოში თითქმის ყველას ეგონა, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლას უმალ მოჰყვებოდა დემოკრატიული საზოგადოებრივი წესრიგი, ისევე როგორც ღამეს მოჰყვება დღე. დღეს კი — ღამე. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, რომ თუ უდაბნო არ გაიარე, აღთქმულ ქვეყანაში ვერ მიხვალ.

აი, ამ გარემოებამაც განაპირობა ის, რომ დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა ბიბლიურ უდაბნოს თაობად — დორ ამიდბარ — მესახება. იგი ტანჯვით, ვაებით, სისხლით ადგამს მძიმე ნაბიჯებს აღთქმული ქვეყნისაკენ. ჩვენ დღეს თავისუფლებამოპოვებული, მაგრამ უდაბნოში მავალი ქვეყანა, ხალხი ვართ.

ებრაელობა კი, მართალია დღეს ერთობ შემცირებული, შეთხელებული, მაგრამ მაინც განუყრელი ნაწილია საქართველოს დემოგრაფიული სურათისა — მისი კოლორიტული ფერი. საქართველოს ეს განუყრელი ნაწილი ქართველთა ყოველდღიურობით ცხოვრობს. ასე იყო ყოველთვის — ნაბუქოდონოსორის მიერ პირველი ტაძრის დანგრევის დღიდან საქართველოს ებრაელობა ისე ცხოვრობდა, როგორც ქართველი კაცი. ისევე უჭირდა და ულხინდა. დღეს კი ძალიან გვიჭირს, რადგან უკანასკნელი ხანების საქართველოს ყოველდღიურობა გახლავთ ომი, კრიმინალური ქაოსი, ინფლაცია, შიმშილი. ქვეყანაში, რომელშიც ხუთი წლის წინათ, სტუმარს ქუჩის პირას ხვდებოდნენ და გამვლელსაც კი მკლავში ჩაავლებდნენ ხელს, შინ შემოდი, პური გავტეხოთო. დღეს თავს არიდებენ.

საქართველოსადმი სეპარატისტების მიერ თავსმოხვეულმა ომმა (ისიც მინდა გითხრათ, რომ სეპარატისტებს საკმაოდ სერიოზული, გავლენიანი მეგობრები ჰყავდათ და დღესაც ჰყავთ რუსეთის უმაღლეს საბჭოში, ხოლო ჟირინოვსკი, რომლის სახელიც [illegible] ყველას პირზე აკერია, სულიერი მამაა ომის მაპროვოცირებელი მოფაშისტო-მოჟირინოვსკო არძინბასი), სამოქალაქო ომმა, ყოველდღიურმა ინფლაციამ ძლიერ გაართულა ცხოვრება. საკმარისია გითხრათ — მაღალ შემოსავლიანად ითვლება ადამიანი, რომელსაც თვიური ხელფასი სამი დოლარი აქვს. იმედი მაქვს, დასკვნების გაკეთება არ გაგიძნელდებათ. ყველაფერი ეს ეხება ებრაელობას, როგორც ამ ქვეყნის შვილს. იგი ზარალდება და ზოგჯერ ტრაგიკულ მდგომარეობაშიც ვარდება კრიმინოგენური ქაოსის გამო. მაგრამ ეს ორიოდე თვეა, ხალხს, მათ შორის ებრაელობასაც, უბრუნდება იმედი — ხელისუფლება დღითი დღე ამტკიცებს, რომ შესწევს უნარი იბრძოლოს ბანდიტიზმს, იგი დღითიდღე აძლიერებს ბრძოლას ყაჩაღობასთან, დღეს საქართველოს გზები აღარ არის ისე საშიში, როგორც იყო ორი, სამი თვის წინათ. ეს ყველაფერი ებრაელობას აძლევს საშუალებას ოპტიმისტურად შეხედოს მომავალს. ეს ოპტიმიზმი კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები სძლევენ შიშს. უკვე ნელ-ნელა უკან იხევს რეპატრიაციის მსურველთა შიში, იყო შემთხვევები, როცა ხვალინდელი რეპატრიანტი ფულად აქცევდა მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას, მეორე დღეს კი ამ თანხას ყაჩაღი ეპატრონებოდა. ნაცვლად იმისა, რომ მომავალი რეპატრიანტი, თუნდაც მინიმალური თანხით, ჩასულიყო ისტორიულ სამშობლოში.

აქ, კონგრესზე ხშირად ლაპარაკობენ ანტისემიტიზმზე. ექსპერტები, გამგეობის წევრები გვატყობინებენ მის ზრდას სხვადასხვა ქვეყანაში. საბედნიეროდ, მე ასეთ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით — საქართველო ის ქვეყანაა, რომელშიც ანტისემიტიზმმა ვერ პოვა ნოყიერი ნიადაგი. ანტისემიტიზმი არ შეიმჩნევა არც სახელმწიფოებრივ დონეზე და არც ყოფაში.

საქართველოს უზენაესი ხელისუფალი კი ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო ებრაელობის მიმართ. საქართველოს ებრაელობის ისტორიაში არ არის ცნობილი ფაქტი იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფალს ებრაელობის მტრობა, სიძულვილი გამოევლინოს, ისე როგორც არ ახსოვს ფაქტი იმისა, რომ ებრაელ კაცს ეღალატოს საქართველოსათვის.

ასე რომ, ბატონი ედუარდ შევარდნაძე განაგრძობს ისტორიულ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. არაერთხელ გავმხდარვარ მოწმე მისი კეთილგანწყობისა ებრაელობის მიმართ. თუმცა, ასე იყო 70-იან წლებში, როცა მან ისრაელში თავისუფალი ემიგრაციის საშუალება მისცა საქართველოს ებრაელობას, 80-იან წლებში, როცა გახსნა სსრ კავშირის ებრაელობის წინაშე აღმართული რკინის ფარდა, ამ ორიოდე თვის წინათ, როცა ხანუქის დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა და ჩინებული სიტყვით მიმართა ებრაელობას, ხოლო იანვარში გააუქმა უცნაური დადგენილება მინისტრთა კაბინეტისა, რომელიც 300 დოლარს ახდევინებდა ემიგრაციაში მიმავალ ყოველი ეროვნების პიროვნებას, რადგან მიაჩნია, რომ ეს იყო ადამიანის უფლების შეზღუდვა.

საქართველოს ებრაელობის 70-80% დღეს ისრაელშია. რეპატრიაცია გრძელდება. არ არის არავითარი დაბრკოლება. წამსვლელს ყველა კეთილი სურვილებით მიაცილებს, რადგან ისრაელში რეპატრიაციას ქართველი ებრაელობისთვის სრულიადაც არ შეუშლია ხელი, დიდი პატივისცემით ექცეოდეს, უყვარდეს საქართველო. მიდიან, მაგრამ, ალბათ, არ მოხდება ის, რომ გაწყდეს საქართველოს ერთი სიმი — წავიდეს ყველა ებრაელი. ამ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში აღორძინება იწყო ებრაული კულტურის კერებმა, რაც შეუძლებელი გახლდათ ტოტალიტარიზმის ეპოქაში. დღეს საქართველოში ებრაელები იღვწიან მეცნიერების ყველა სფეროში, არიან ლიტერატურისა და ხელოვნების საკმაოდ ცნობილი მოღვაწენი, ემსახურებიან ქართულ მეცნიერებას, კულტურას, მაგრამ მათი ორმაგი — ებრაული და ქართული ცნობიერება გარკვეულწილად განაპირობებს ებრაულისადმი სამსახურსაც. ასე რომ, საქართველოს ებრაელობა იმედით შესცქერის მომავალს.

თუ ყველაზე ბოლოს იმედი კვდება, აღორძინებაც იმედით იწყება.

ჩვენ ამ აღორძინების იმედი გვაქვს.

სურათზე: შეხვედრა ნიუ-იორკის ქართველ ებრაელებთან.

მხოლოდ შრომა გადაგვარჩენს!

ძველებურად გალიმებული გარეჯელები შენახოს,

ანუ იმის შესახებ, რაც გვაწუხებს

ლადო მარხვაშვილი თხუთმეტიოდე წლის წინათ გავიცანი. ახალგაზრდა კაცი მაშინ თითქოს და უპერსპექტივო საქმეს შეხვდებოდა: საგარეჯოში, გამართულ, ღონიერ რაიონში, პატარა სოფელი უდაბნო აშენდა. აი, ამ სოფლის პირველ თავკაცად ლადო აირჩიეს. მაშინ თავგამოდებული, სადღეღამისო შრომა დასჭირდათ სოფლის ხელმძღვანელებს თუ მათს ხელქვეითებს. ბევრი კარგი საქმეც გაკეთდა. ამ ორიოდე თვის წინათ კი საგარეჯოს რაიონმა ახალი გამგებელი აირჩია — ლადო მარხვაშვილი. ასეთ დროს ჟურნალისტები ვიტყვით ხოლმე, გამოცდილი სამეურნეო მუშაკიაო. ზოგჯერ ეპითეტს რომელიმე პიროვნებას დაუმსახურებლად მივაწერთ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ლადო, ჭეშმარიტად რომ, კარგი არჩევანი. მისი ბიოგრაფია გვეუბნება, რომ იგი სხვადასხვა დროს იყო საგარეჯოს რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მერე აგროსამრეწველო კომპლექსს თავმჯდომარეობდა. რაც მთავარია, ისევ იმ გულითა და მონდომებით არის აღსავსე, როგორც მაშინ იყო, როცა ახლად დაარსებული სოფლის თავკაცად აირჩიეს. საქმე? — როგორც ილია ამბობს, საქმე ბევრია. საჭიროა მხოლოდ ბასრი ნამგალი.

— საქართველოს დიდი, თავდაუზოგავი შრომა გადაარჩენს. პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, ბასრი ნამგალი გადაგვარჩენს. — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი საგარეჯოს რაიონის გამგებელმა.

— ბატონო ლადო, რაკი ნამგალი ვახსენეთ, ბარემ პირდაპირ ქვათ, რამდენი გექნებათ ალო- სას მოსამკალი?

— ოქტომბრის ბოლოს მხოლოდ 1200 ჰექტარზე გვქონდა სილი საშემოდგომო კულტურები. მერე აგროტექნიკური ვადები ველარ დავიცავით. მაგრამ უძლებელი იყო და დღეისთვის 00 ჰექტარი დავთესეთ. საგაზაფხულო კულტურების მოსავალს 00 ჰექტარზე მოვიწევთ. თავისთავად იგულისხმება, რომ ნათესის მოსავლელად გაზაფხულზე შრომა დაგვჭირდება, აქევე უნდა ვიზრუნოთ ბენზინისა და დიზელის საწვავის შესაძენად.

— ახლა თქვენთან იყო სოფელ ნის გამგებელი, დიზელის და რაღაც სხვა საკითხების მოგვარება გთხოვათ, ამ გამგებისას თითქმის უყოყმანოდ შეასრულეთ. ხომ არ გეჩვენებათ, „თქვენს" სოფელს დღესაც მეტ ყურადღებას უთმობთ სვები „იჩაგრებიან"?

— ლბათ, გემახსოვრებათ. მშობლიურ პატარძეულში ერთი „ოპოზიციონერი" — მამაჩემი. მექანიზატორი კაცი, ერთ ბურთულა- მათ მეურნეობას თუ არ დით, ისეთ დღეში ჩამაგდებდა, პირდაპირ შინ მისვლა მეზარებოდა. ახლა რა დღეში ვიქნები, როცა პატარძეულს, მთელ რაიონს უჭირს და თითქმის ყველანი ჩემი ნაცნობები და ახლობლები არიან? მაგრამ იმასაც ვერ დავმალავ, რომ უდაბნოში დიდი ოფლია ჩაღვრილი. განა ერთი თუ ორი მამულიშვილისა! მე იმათთან რა სახსენებელი ვარ. მაგრამ ის კი ნამდვილად ღრმად მწამს, რომ წინაპართა წმინდა ადგილას ძლივს სოფელი გაგვიშენებია და მერე სად? უდაბნოში. ახლა, რაც უნდა გაჭირვება დაგვადგეს, ამ ფუძის მოშლა არ იქნება. რაღა პატრიოტები ვიქნებით? აი, ალბათ, ამიტომ სოფელ უდაბნოს ყურადღებას არ ვაკლებ, ხოლო, რაც შეეხება „დაჩაგვრას", დღეს იმასაც ისევე უჭირს, როგორც მთელ საქართველოს.

— კახეთი პურ-ღვინის მხარეა. საგარეჯო ამ კუთხის კარიბჭეა. მის ვენახებზე რას გვეტყვით?

— ვენახების ძირითადი ფართობები პრივატიზებულია. ამ პროცესმა სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. განა კახელს ვენახი აღარ უყვარს? ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ვენახებს ვეღარ კი მოუარეს და... არ იყო საწვავი, შხამქიმიკატები, გოგირდი. ამ ყველაფერს აქედანვე უნდა მივხედოთ. გოგირდი უკვე შემოტანილია. ხალხი დამშეულია. ვის დავუმალავთ, ან როგორ დავუმალავ? პირდაპირ საგანგებო და სავალალო ვითარებაა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე გვიშველის, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობისათვის კრედიტები კი მოგვცეს, მაგრამ დიდპროცენტიანი სესხით ვერ ვიარსებებთ.

— საგარეჯო ყოველთვის მდიდარი იყო ცხვარ-ძროხის სიმრავლით. დიდძალი პირუტყვი ჰყავდათ გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსში, მოქმედებდა პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკა, ახლა აღარსად აღარაფერი ჩანს...

— ეს მთელი საქართველოსთვის საშინელი გაუგებრობისა და წინდაუხედაობის პერიოდი იყო. ამ ტალღამ, ბუნებრივია, საგარეჯოსაც გადაუარა. ხელაღებით პარტახდებოდა კოლმეურნეობები და მეურნეობები, მოსახლეობამ საქონელი დაიტაცა. რაიონში ძროხის სულადობა 5 ათას სჭარბობდა. 1605 სულიღა დარჩა. ძალიან შემცირდა ცხვრისა და ღორის სულადობაც. ჩვენი მიზანია, ყოველი ღონე ვიხმაროთ პირუტყვის მოსამრავლებლად. საიმედო ნაბიჯები გადაიდგა მეფრინველეობის ფაბრიკებში. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ვითარების გაჯანსაღებისათვის, სხვა გამოსავალი არც გვაქვს.

— საგარეჯოს რაიონს მთის ზონაც აქვს, გომბორისა და კოჰბანის სოფლები. რედაქციამ მიიღო კრიტიკული წერილი. მისი ანონიმური ავტორები მოითხოვენ გომბორისა და კოჰბანის მეურნეობების აღდგენას. ვიცნობ ამ ზონას, თითოეულ იქაურ ადამიანს პირადად ვიცნობ. ამ წერილში, რომელიც ახლა გაგაცანით, ბევრი მშრომელი დაუმსახურებლად არის გალანძღული. ამაში დავრწმუნდი, როცა გუშინ და გუშინწინ კიდევ ვიყავი ამ სოფლებში. მაგრამ მე მთავარი მაინტერესებს; შეიძლება კი გომბორსა და კოჰბანში მეურნეობების აღდგენა, როგორც ანონიმურ ავტორებს სურთ?

— როგორ აღვადგენთ იმ სახით, როგორც იყო? ეს ხომ უკან დაბრუნება იქნება! მაშინ ხალხს სახნავ-სათესი მიწები თუ ხეხილის ბაღები უნდა ჩამოვართვათ. ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამ მეურნეობებისა აღარც საქონელია, არც სხვა პირუტყვი. შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა საკუთარი მამულების მოსავლელად სასოფლო-სამეურნეო რგოლები შეიქმნას, ისიც საოთქმელოა, კოჰბანის მეურნეობაში დიდძალ მარცვლეული დაიტაცეს. საქმეს პროკურატურა იძიებს და, ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

— საგარეჯო მთელ კახეთში ყველაზე მსხვილი სამრეწველო რაიონი იყო. ბოლო 10-12 წლის განმავლობაში, თუ დამანგრეველ სამოთხ წელიწადს არ ჩავთვლით, ის მილიონები, რომლებიც სამრეწველო პროდუქციით იქმნებოდა, უკვე ბევრად სჭარბობდა თითქოს და ტრადიციულად სოფლის მეურნეობიდან მიღებულ მილიონებს.

— დიახ. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ადრე რაც იყო, ის კავშირურთიერთობები გაწყდა. თანაც, აღარც ელექტროენერგია გვაქვს, აღარც გაზი და გაჩერდა დიდი სამრეწველო ქარხნები; რკინა-ბეტონის ნაკეთობათა, საბურავების შემკეთებელი, ავტოსარემონტო, რაიონი ძალზე დააზარალა სამარკო ღვინოების ჩამოსასხმელი ქარხნის გაჩერებამ. ახლახან საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულმა ეკონომიკურმა ხელშეკრულებებმა დიდი იმედები დაგვისახა. ეს სამრეწველო ობიექტები ამუშავდება და ჩვენი ეკონომიკა უთუოდ წელში გაიმართება.

— ბატონო ლადო, როგორც თქვენ ბრძანეთ, ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს. სხვა გამოსავალი არ არის. ახლა ორიოდე სიტყვით იმის შესახებ გვითხარით თუ რისი გაკეთება მოასწარით. ხალხს სოციალურად ძალიან უჭირს.

— რაიონში არც ერთი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანა არ მუშაობდა. როგორც იქნა ერთი „სასწრაფო" ბენზინით უზრუნველვყავით და ვიცით, რომ გაჭირვებულს დროზე მივეშველებით. ამუშავდა ავტობუსი, რომელიც ქალაქ საგარეჯოს რკინიგზის სადგურთან აკავშირებს. მთელი ყურადღება მივაპყარით მოსახლეობის პურით უზრუნველყოფას. ამ მხრივ ჩვენთანაც საგანგებო ვითარებაა. გულს ცოტათი ის მიმშვიდებს, რომ მთის ზონაში, გომბორის სოფლებში, სადაც თითქოს ყველაზე მეტად უნდა გვეჭირდეს, უკეთესი მდგომარეობა გვაქვს.

აღვრიცხეთ მარტოხელა, ავადმყოფი ადამიანები და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით.

— ჩვენი საუბრის დასასრულს გკითხავთ, — რას ისურვებდით?

ძველებურად გალიმებული და გალაღებული გარეჯელები შენახოს.

ჯემალ ქურხული.

ივერიელი

ინფორმაცია

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. რუსეთის პარლამენტში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების პროექტზე. პროექტს განიხილავენ კომისიებში პოლიტოლოგთა და ექსპერტთა დასწრებით. დეპუტატთა უმრავლესობა ამჟამად კეთილგანწყობით ეკიდება ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხს.

სოხუმი. აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ყოლბაიამ, რომელიც ამჟამად აფხაზეთის უზენაეს სასამართლოს ხელმძღვანელობს, განაცხადა, რომ განვლილ ომში აფხაზთა მხარის დანაკარგმა შეადგინა 5.000 მებრძოლი.

თბილისი. ოპოზიციური პარტიები მოითხოვენ მთავრობის სისტემიდან ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის გამოყოფას. მათი აზრით, ეს კომიტეტი სრულიად ავტონომიური უნდა იყოს.

თბილისი. ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე აფხაზთა დელეგაციის ხელმძღვანელმა სოკრატ ჯინჯოლიამ განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა არ დაუშვებს რეგიონში ლტოლვილთა სახით ქართული შეიარაღებული ძალების მებრძოლთა დაბრუნებას.

თბილისი. ოპოზიციური ფრაქციების მოთხოვნით უახლოეს ხანში პარლამენტში უნდა გაიმართოს დახურული სხდომა, რომელიც მთლიანად მიეძღვნება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პრობლემ[illegible] ბილია, ამ [illegible] პაქტურად [illegible] მოსახლეობ[illegible] აპირებენ [illegible] ფერენდუმი [illegible] მხრივ ოსე[illegible] თაობაზე. გა[illegible] მხრივ ოსეთ[illegible] რესპუბლიკა[illegible] ბა, რომელი[illegible] ქვეყნებთან", [illegible] საქართველოს [illegible] ერთობის ა[illegible] ხრივი ხელშ[illegible] საფუძველზე.

თბილისი. [illegible] სამთავრობო [illegible], რომელსაც [illegible] რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ნარბეკ [illegible] მეთაურობდა, შეხვდა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი.

შეხვედრაზე ისაუბრეს [illegible] და საქართველოს [illegible] ეკონომიკურ [illegible], დასახეს სამომავლო თანამშრომლობის [illegible] სოფლის მეურნეობის [illegible] განვითარების საქმეში. დაღესტნის მხარემ [illegible] აღნიშნა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

თბილისი. როგორც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის აგრარული კომისიის თავმჯდომარემ რევაზ ლიპარტელიანმა განაცხადა, კომისიამ დაამთავრა მიწის კანონზე მუშაობა. გამოვლინდა, რომ არსებობს მრავალი უხეში დარღვევა, რომელთა აღმოსაფხვრელად კომისია ყოველ ღონეს მიმართავს. „რაც მთავარია, მიწა დაურიგდება ყველას, მაგრამ აუცილებლად კანონის შესაბამისად, — განაცხადა რ. ლიპარტელიანმა.

თბილისი. რუსეთმა იმპორტულ საქონელზე შემოიღო ახალი ტარიფები. განვითარებადი ქვეყნებისათვის ტარიფები 2-ჯერ ნაკლები იქნება.

ჯავა. დასრულდა ჩრდილოეთ ოსეთის ქ. ზარამაგიდან ჯავამდე 110 კვტ. სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. ამ მშენებლობისათვის ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 840 მლნ. მანეთი გამოყო.

ჯავაში აშენდა ქვესადგური, საიდანაც ელექტროენერგია მიეწოდება ცხინვალისა და ჯავის რაიონის 30-ზე მეტ სოფელს.

გაქურდეს „მესხეთი"

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 15 მარტს, ღამით, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა [illegible] გაქურდეს [illegible] „მესხეთი" და მოიპარეს სხვადასხვა ნაწარმი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

სანთელი

მხატვრის წვლილი

თეიმურაზ ყუბანეიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

ცნობილმა მხატვარმა თეიმურაზ ყუბანეიშვილმა თავის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სახვითი ხელოვნების განვითარებაში.

წელს მას 70 წელი შეუსრულდებოდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მხატვრის მაღალი პროფესიონალიზმი, გრაფიკის სხვადასხვა დარგის ტექნიკური ხერხების თავისუფალი ფლობა და მათი სპეციფიკის გათვალისწინება. ფართო იყო მისი ინტერესების წრე: ქართული ლიტერატურის დასურათება, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, საქართველოს დღევანდელობა, თანამედროვეთა პორტრეტული სახეები, ქართული შრიფტის შექმნა.

თ. ყუბანეიშვილის ახალგაზრდობა მეორე მსოფლიო ომის მრისხანე წლებს დაემთხვა; პირდაპირ სკოლის მერხიდან იგი ფრონტზე წავიდა და მთელი ომი იქ გაატარა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თეიმურაზი თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტია. მას წილად ხვდა ბედნიერება დაუფლებოდა ოსტატობას ისეთი მაღალი კულტურის პედაგოგთან, როგორიც იოსებ შარლემანი იყო. მისი მასწავლებლები იყვნენ აგრეთვე გამოჩენილი გრაფიკოსები სერგო ქობულაძე, ლადო გრიგოლია, ლადო ქუთათელაძე.

საზოგადოებრიობის ყურადღება თ. ყუბანეიშვილმა უკვე სადიპლომო ნაშრომით მიიპყრო. ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" ილუსტრაციებში მხატვარი ყურადღებას ამახვილებს მოქმედ პირთა დახასიათებასა და მათ ურთიერთობაზე. ფსიქოლოგიურად დამაჯერებლადაა გახსნილი ნაწარმოების ძირითად გმირთა (ოთარაანთ ქვრივი, გიორგი), მხატვრული სახეები.

შემდგომში მხატვრის შემოქმედების განვითარება ახალ, დაძაბულ ძიებათა გზით წარიმართა, რაც დაკავშირებული იყო 50-იანი წლების ქართულ ხელოვნებაში გამომჟღავნებულ ტენდენციებთან, როდესაც განსაკუთრებული სიმძლავრით დაისვა მხატვრული ფორმის, კომპოზიციის, ფერის, ნახატის გამომსახველობის პრობლემები. კერძოდ, ქართველ გრაფიკოსთა ნამუშევრებში, და მათ შორის განსაკუთრებით მხატვართა ახალგაზრდა თაობის შემოქმედებაში, აღინიშნება გამომსახველობის მრავალფეროვანი და მეტყველი ხერხების ძიება, მისწრაფება, რათა ნაწარმოებში გამოვლინდეს გრაფიკის სპეციფიკა. ამ ძიებითაა აღბეჭდილი თ. ყუბანეიშვილის 60-იანი წლების ნამუშევრები, სწორედ ამ წლებში ყალიბდება მისი ინდივიდუალური, სხვებისაგან გამორჩეული ხელწერა, რომელიც გამოიკვეთა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა დასურათებისას.

ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლის საიუბილეო თარიღისათვის, 1961 წელს მხატვარმა შეასრულა მწერლის სამი პოემის — „გველის მჭამელი", „სტუმარ-მასპინძელი" და „ალუდა ქეთელაური" ილუსტრაციებიდან ლინოლეუმზე ამოჭრილი გრავიურები, რომლებიც ცალკე ალბომად გამოიცა.

ვაჟა-ფშაველას პოემებში გადმოცემული დრამატული შეჯახებანი, მისი ტრაგიკული გმირები, თუმცა ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის იდეებს გამოხატავენ,

მაგრამ შეუძლებელია მათი გააზრება საქართველოს მთიანეთის წარსულის გარეშე, მისი ადათ-წესებითა და ზნე-ჩვეულებებით, მკაცრი ბუნებით და მასთან შერწყმული არქიტექტურით, თ. ყუბანეიშვილის ლინოგრავიურებში წარმოდგენილი ციხე-სახლები და კოშკები მეტყველად გადმოსცემს ამ ტიპურ გარემოს. ავტორმა იმოგზაურა მთიანეთში, გააკეთა ჩანახატები. მაგრამ განზოგადებულ ფორმებში წარმოდგენილი არქიტექტურა პირველ რიგში ილუსტრაციის საერთო განწყობილების შექმნას ემსახურება. მხატვრისათვის ძირითადია ნაწარმოების დრამატული მხარის აქცენტირება, ამ ასპექტშია გახსნილი მოქმედ პირთა სახეებიც. კომპოზიციაში იგი გამოსახავს მხოლოდ მთავარს, ძირითადს, მისი მხატვრული ენა უაღრესად ლაპიდარულია.

ძლიერ მეტყველია ილუსტრაცია, რომელიც მინდიას განზოგადებულ მხატვრულ სახეს წარმოადგენს. მხატვარმა იგი გამოსახა მთვარის უზარმაზარი დისკოს ფონზე, ხოლო მის გვერდით მთის ყვავილი მოათავსა, როგორც სიმბოლო მინდიას კავშირისა ბუნებასთან. დრამატულ განწყობილებას აძლიერებს ლაკონური ფერადოვანი ლაქების დაპირისპირება: საერთო შავი ფონიდან კონტრასტულად გამოიყოფა თეთრი და მოყავისფრო — ტერაკოტისფერი (დისკო და მცენარე). განსაკუთრებით აქცენტირებულია მინდიას სახე, იგი თეთრია, შავი კონტურით გარშემოვლებული, მაშინ როდესაც თვით ფიგურა ფონს ერწყმის. ძარღვიანი ნახატით მკვეთრად მოხატულ სახეში ნებისყოფა და ძალა იგრძნობა.

ამაყად აზიდულან კლდეზე აღმართული შატილის ციხე-სახლების რუხი კედლები „ალუდა ქეთელაურის" ილუსტრაციებში. განსაკუთრებით ტრაგიკულად შეიგრძნობა კომპოზიციის ქვედა კუთხეში წარმოდგენილი ფიგურები; თავდახრილი, განდევნილი, მაგრამ დაუმარცხებელი ტოვებს ალუდა მშობლიურ სოფელს. ძლიერ გამომსახველი და ბევრის მთქმელია ფიგურათა შავი სილუეტების დინამიური ნახატი, მათი შეფარდება ნაგებობათა დიდ მასშტაბთან, ნაცრისფერისა და შავის კონტრასტებთან.

„სტუმარ-მასპინძლის" შმუცტიტულზე გამოსახული ქისტების სასაფლაო პირქუშად აღმართული საფლავის ქვებით, შესაფერისი გარემოა ვაჟა-ფშაველას პოემის მკაცრი განწყობილებისათვის, რასაც ხაზს უსვამს წინა პლანზე წამოწეული ორბის შავი სილუეტიც. ილუსტრაციაში, სადაც საფლავის ქვებს შორის მოკლული ზვიადაურია გართხმული, საერთო ემოციურ ჟღერადობას დინამიკური ხედვის წერტილიც აძლიერებს. მთელი მიდამო თითქოს სისხლისფრადაა შეფერილი: შავი შტრიხებით დასერილ ინტენსიურ წითელ ფონზე განსაკუთრებით ექსპრესიულად შეიგრძნობა საფლავის ლოდების ფანტასტიკური ფორმები, ისევე როგორც გაქცეულ აღაზას ფიგურის თითქოს ქარისაგან ატაცებული სილუეტი.

ამრიგად, დასურათებისას შემოქმედმა ყურადღება გაამახვილა ვაჟა-ფშაველას პოემების ძირითად, საკვანძო მომენტებზე, მიზნად დაისახა მათი არსის, დამახასიათებელი განწყობილების ხორცშესხმა. ამ ილუსტრაციებს საეტაპო მნიშვნელობა აქვს ყუბანეიშვილის შემოქმედებაში. ამასთან ერთად ისინი ასახავენ გარკვეულ გარდატეხას საერთოდ ქართული გრაფიკის ისტორიაში.

მხატვრის ინდივიდუალური მანერის შემდგომი განვითარება მოცემულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ამსახველ ლინოგრავიურების სერიაში, რომელიც ალბომის სახით გამოიცა 1964 წელს. ამ ლინოგრავიურების ფურცლებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ეპოქის განსხვავებული დანიშნულების ძეგლებია აღბეჭდილი; მთიანეთის, ხევსურეთისა და სვანეთის — ძველი სახლები და კოშკები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები — უფლისციხე და ვარძია, ქართლის შესანიშნავი საკულტო არქიტექტურის ძეგლები — მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, სამწევრისის, მიუვალი ციხე-სიმაგრეები — ხერთვისი, დრის ციხე, ძველი თბილისის კუთხეები, ეს კი მრავალფეროვნებას ანიჭებს სერიას. მაგრამ ყველა ფურცელს აერთიანებს მხატვრული ენის უაღრესი ლაკონიზმი; ორი-სამი ფერის კონტრასტი, დიდი, ფერადოვანი სიბრტყეების დაპირისპირება, განზოგადებული ნახატი გარკვეული განწყობილების შექმნას ემსახურება, იქნება ეს არქიტექტურის სიმკაცრის და სიდიადის, სიძლიერის შეგრძნება, თუ ინტიმურობის განცდა. ამ მიზნებს შეესატყვისება ხედვის წერტილის არჩევა, ნაგებობის მასშტაბი, მისი გაბედული, უჩვეულო რაკურსში ჩვენება, ანდა რაიმე ფრაგმენტის ამოჭრა.

დაზგური გრაფიკის დარგში აღსანიშნავია თ. ყუბანეიშვილის მუშაობა დიდ პორტრეტულ სერიებზე, ერთ-ერთი მათგანი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა — სულხან-საბა ორბელიანის, გიორგი ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა პორტრეტებს აერთიანებს, 1967 წელს შესრულებულ ლინოგრავიურების სერიაში შევიდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების — ივ. ბერიტაშვილის, ვ. ბერიძის, მხატვრების: ს. ქობულაძის, უ. ჯაფარიძის, მწერალ ლ. გოთუას, კომპოზიტორ ს. ცინცაძის პორტრეტები. ამ დიდი ფორმატის კომპოზიციებში ადამიანები წარმოდგენილი არიან მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელ გარემოში, რომელიც ძუნწადაა მინიშნებული, მაგრამ ხელს უწყობს პიროვნების დახასიათებას. თითოეულ ფურცელზე ყურადღებას იქცევს კომპოზიციის კარგად მოძებნილი მეტყველი კადრი. ენერგიული, მსუყე, ძარღვიანი ნახატის და ფერთა ლაქების დაპირისპირების საშუალებით მხატვარი თავისებურ, ძლიერ გამომხატველობას აღწევს.

მხატვრის შემდგომი სერიაა „ენგურის ნაპირებზე", რომელშიაც ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სხვადასხვა მომენტია აღბეჭდილი. მასში ოსტატურადაა გამოყენებული ხეზე გრავიურის მხატვრული საშუალებანი, შავისა და თეთრის კონტრასტები.

საყურადღებოა უცხოეთში მოგზაურობის შედეგად შექმნილი ნამუშევრები; უნგრეთის და ინგლისის ქალაქთა ხედები (1960—68 წ.), ბაჩკოვოს მონასტერი ბულგარეთში (1973 წ.). ინგლისში თ. ყუბანეიშვილი შემოქმედებით მივლინებაში იმყოფებოდა სამხატვრო სკოლებში სასწავლო პროცესებისა და ტექნიკური ესთეტიკის სწავლების მეთოდიკის გაცნობის მიზნით.

უკანასკნელ ათწლეულში მხატვარი დაინტერესდა ქართული შრიფტის პრობლემით, რომელიც მეტად აქტუალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში პოლიგრაფიის განვითარებისათვის. მან შექმნა რამოდენიმე სხვადასხვა დანიშნულების და სახის შრიფტი: „სარეკლამო", „სასათაურო", „ჩვეულებრივი", „ნუსხური" და სხვ. ამ განსხვავებული ხასიათის შრიფტებს აერთიანებს ასო-ნიშნის მკაფიო, ადვილად აღსაქმელი ფორმა, მხატვრული დასრულებულობა. მათი შექმნისას გამოყენებულია ძველი ქართული ხელნაწერი შრიფტის ტრადიციები.

მხატვრის ბოლო ნამუშევარია ილუსტრაციები რ. გორდეზიანის წიგნისათვის „ოქროს საწმისი".

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი თეიმურაზ ყუბანეიშვილი ათეული წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ხელმძღვანელობდა გრაფიკის კათედრას, აგრეთვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სამრეწველო გრაფიკის განყოფილებას. მას ეკუთვნის მეთოდური სახელმძღვანელო პროპორციების შესახებ.

თ. ყუბანეიშვილის შემოქმედების აღიარება დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. 60-იანი წლებიდან მოყოლებული მისი ნამუშევრები არაერთხელ იყო ექსპონირებული საერთაშორისო გამოფენებზე: ნიუ-იორკში, კანადაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში.

უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულია წერილები მხატვრის შემოქმედების შესახებ, სადაც მისი ნაწარმოებების მაღალი შეფასებაა მოცემული.

ნათელა ალადაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

ვაჟა-ფშაველას სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატები

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის ლიტერატურული პრემიების კომისიამ (თავმჯდომარე — პროფესორი ალექსანდრე ღლონტი, თავმჯდომარის მოადგილე — მწერალი, პროფესორი დავით გოგოჭური) განიხილა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მისაღებად (1993 წლისათვის) წარდგენილი კანდიდატურები და აღნიშნული პრემია მიენიჭა;

პოეზიის დარგში — პოეტ შოთა ნიშნიანიძეს; პოეტ [illegible] ბიგაურს;

მხატვრული პროზის დარგში — მწერალ მერაბ ელიოზიშვილს;

ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში — მწერალ ლევან ბრეგაძეს;

მხატვრული თარგმანის დარგში — მწერალ გურამ გოგიაშვილს.

ჩვენს კოლეგებს ეს პრემია მიენიჭათ ბოლო სამი წლის მანძილზე შექმნილი ნაწარმოებებისა და მხატვრული თარგმანისათვის, ამავე დროს მშობლიური მწერლობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის.

გამომცემლობა „ლამარი", რომელმაც შექმნა სერია „ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატები", მკითხველს მიაწვდის პრემირებულ ნაწარმოებებს, ხოლო გაზეთი „სიტყვა ქართული" მათვე მიუძღვნის სპეციალურ წერილებს.

მწერალთა დამოუკიდებელი კავშირი, ვისთვისაც უცხოა ვიწრო ჯგუფობრივი ლიტერატურული ინტერესები, გულითადად ულოცავს ვაჟას შუქით განათებული პრემიის პირველ ლაურეატებს. დაე კვლავაც ნაყოფიერი იყოს მათი შემოქმედებითი, მამულიშვილური მოღვაწეობა ერთიანი, განუყოფელი ქართული მწერლობის საკეთილდღეოდ, სრულიად საქართველოს სადიდებლად.

ამიერიდან ვაჟა-ფშაველას პრემიის მინიჭება გამოცხადდება გენიალური პოეტის დაბადების დღეს. ლაურეატის მოწმობის გადაცემა მოხდება იმავე დღეს, სოფელ ჩარგალში.

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო.

საქინფორმი.

შეჯამდა კონკურსი

შეჯამდა კულტურის სამინისტროსა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ გამოცხადებული კონკურსი თანამედროვე ქართულ პიესაზე:

I პრემია არც ერთ ნაწარმოებს არ მიენიჭა.

II პრემია დაიმსახურეს **თამაზ მეტრეველმა** პიესისათვის „უმანკოების მსხვერპლნი" და **თამაზ გოდერძიშვილმა** პიესისათვის „ცხოვრება, რომელსა არა შეამღვრევს სიკვდილი".

პრემიები მიენიჭათ აგრეთვე პიესებისათვის **აკაკი გეწაძეს** — „გაცხადება დაფარულისა", **ალექსანდრე ჩხაიძეს** — „ძირსდაუშვებელი გადაფრენა", **გურამ ბათიაშვილს** — „თავადი შერვაშიძე", **თამაზ გოდერძიშვილს** — „მთვლემარე ლომის ხუმრობა", ხოლო **მიხო მოსულიშვილსა და ანდრო ენუქიძეს** — „მეცამეტე ექსპერიმენტულისათვის".

კარიკატურისტის თვალით


ამ ქვეყნად ცხოვრება აღარ შემიძლია!
ბ.ზ.

მხატვარი ბესიკ ზუბაშვილი.

ჩვენი ტკივილი

ხიზანი ყველაზე საცოდავია დღეს...

აღწერა, დასურათება იმ უბედურებისა, რაც მოხდა აფხაზეთში, თავს დაატყდა აქ მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას, შეუძლებელია, ჟამთაღმწერლებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს ჯეროვნად აესახათ ამ საშინელი ტანჯვა-წამების, შეურაცხყოფის ამაზრზენი ფაქტები. არა მგონია დაუსჯელნი დარჩნენ ისინი, რომლებმაც სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, თავიანთ მეცეცხლურ მეზობლებს, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთ ნათესავსაც კი ტანჯვა-წამებით ამოხადეს სული. ჩვენი დროის ამ ორფეხა მხეცებმა, რომლებიც მოქმედებდნენ აფხაზ სეპარატისტთა გონებაამღვრეული ხელმძღვანელების ნება-სურვილით, ისეთი დანაშაული ჩაიდინეს, რომ მათ დასასჯელად სრულებითაც არ იქნება საკმარისი დღეს მოქმედი კანონების უმკაცრესი ზომებიც კი. ჯერჯერობით სამართალს თავისი სიტყვა ჰრ უთქვამს, თუმცა ჩადენილ დანაშაულზე უფრო მეტი უბედურება იქნება, თუ ეს სისაძაგლე შერჩათ ჯოჯოხეთის ამ მოციქულებს.

მთელ პლანეტაზე ალბათ დღეს არ მოიძებნება უფრო საცოდავი, დაბეჩავებული ადამიანი, ვინემ მშობლიური კარ-მიდამოდან ძალდატანებით აყრილი თანამემამულეები — ჩვენი დები და ძმები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში დევნილებად იწოდებიან. არ შეიძლება არ შეიცოდო ადამიანი, რომელმაც ერთბაშად დაკარგა ყველაფერი, რაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შეუქმნია. უზომოდ დამამცირებელ მორალურ ტრავმას, ქართული თავმოყვარეობის შელახვას თან ერთვის ხიზანთა უაღრესად მძიმე საარსებო პირობები. ძნელია რითიმე ანუგეშო და დაამშვიდო თავისსავე სამშობლოში უმოწყალოდ დარბეული და შეურაცხყოფილი ქართველი კაცი, რომელმაც არც კი იცის როდის დაუბრუნდება საკუთარ კარმიდამოს.

თუ აფხაზეთის დროებით დაკარგვა საქართველოსათვის უდიდესი ტრაგედიაა, მშობლიური კერიიდან ადამიანთა აყრა, წინაპართა საფლავების მიტოვება საკუთარ სიცოცხლესთან განშორების ტოლფასია.

სწორედ ამიტომ, მრავალი გასაჭირიდან, რაც დღეს თავს ადგას საქართველოს და მოსვენებას არ აძლევს მას, ყველაზე დიდი სატკივარი ხიზნები არიან. მშობლიური კუთხიდან, ნაფუძვრებიდან აყრილ ადამიანებს, რომლებიც ისევ სამშობლომ, თავისსავე მიწა-წყალმა შეიკედლა, თითქოს ზრუნვას არ აკლებენ, მაგრამ დახმარება, რასაც იღებენ ისინი, ავადმყოფისადმი პირველი სამედიცინო დახმარების ფარგლებს ბევრად არ სცილდება. მხოლოდ მას, ვისაც შესწევს უნარი ღრმად ჩაიხედოს გაჭირვებაში მყოფი ადამიანის სულში, შეუძლია ასე თუ ისე წარმოიდგინოს დევნილის, ამ ყველაზე საცოდავი ადამიანის უმწეო მდგომარეობა და გაიზიაროს მისი ჭირ-ვარამი. თუ სამართალი არსებობს, შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა აფხაზეთიდან გამოძევებული, ტანჯვაგამოვლილი ქართველი კვლავ დაუბრუნდება თავის ძირძველ მამულს და შეუდგება ახალ ცხოვრებას, მანამდე კი თითოეული მამულიშვილის საპატიო მოვალეობაა ძმური დახმარების ხელი გაუწოდოს თავის სისხლსა და ხორცს, უსამართლოდ დაჩაგრულ ფუძემოშლილ დასა და ძმას.

დევნილთა მიმართ შეუნელებელი ყურადღება, ზრუნვა, საერთო-სახალხო, წმინდა ეროვნულ საქმედ უნდა იქცეს. მოგეხსენებათ, დღეს ხელისუფლებას უჭირს, მას არა აქვს საშუალება დროულად გადაწყვიტოს ხიზანთა პრობლემები. თუ სახელმწიფოებრივ დახმარებასთან ერთად იმძლავრებს საზოგადოებრივი ზრუნვა და იგი მიიღებს ორგანიზებულ ხასიათს, ლტოლვილებს შიმშილის პრობლემა მაინც შეიძლება მოეხსნას. ამიტომაც, სახელმწიფოს მხარში უნდა ამოუდგეს მთელი მოსახლეობა, თითოეულმა ქართველმა, თუ საქართველოში მცხოვრებმა სხვა ეროვნების წარმომადგენელმა გულთან ახლოს მიიტანოს ლტოლვილთა სატკივარი. საჭიროა ამ მიზნით რესპუბლიკაში გაიშალოს მასობრივი, სრულიად სახალხო მოძრაობა, დევიზით: „ლტოლვილის სატკივარი ჩვენი სატკივარია, ჩვენ თქვენთან ვართ, ძვირფასო მეგობრებო, ამ საბედისწერო ჟამს".

გაჭირვების, სტიქიური და სხვა უბედურების დროს ადამიანებისადმი დახმარების საკმაო გამოცდილება გააჩნია ჩვენს ხალხს, უნდა გამოვიყენოთ ყველა დროის დადებითი პრაქტიკა, მოვიფიქროთ დახმარების ორგანიზაციულად უზრუნველყოფის ფორმები. ამ მიზნით კარგი იქნებოდა შეგვექმნა ხიზნებისადმი დახმარების საქმეში ხელისუფლების ხელისშემწყობი საზოგადოება, რომელსაც რეგიონებში ეყოლება თავისი დასაყრდენი ბირთვი, გადაგვეწყვიტა თუ რა გზით და საშუალებებით მოგვეწყო ეს დახმარება. ასე, რომ საკუთარი ქვეყნის, სხვა სახელმწიფოების მხრიდან დახმარების პარალელურად, საზოგადოების მეშვეობით, სავსებით შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც შევუმსუბუქოთ მდგომარეობა ამ წამებულ ადამიანებს. ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველი კაცის დახმარება თავისი გაჭირვებული თანამემამულეებისადმი მისი მასობრიობის თვალსაზრისით და თუ გნებავთ, ხალხის ცხოვრების დონის გათვალისწინებითაც (თუმცა იგი დღეს მძიმეა), არ შეიძლება მივიჩნიოთ დამაკმაყოფილებლად. ზოგჯერ უცხოელი ჰუმანიტარები გაცილებით მეტ მოწყალებას იჩენენ ჩვენდამი, ვინემ ქართველები თავიანთი თანამოძმეებისადმი. ამიტომ, პირველ რიგში, ეკონომიკურად ღონიერმა ჩვენი მიწა-წყლის შვილმა არ უნდა დაიზაროს, რომ დახმარების ხელი გაუწოდოს თავისსავე თანამოძმეს, რომელსაც შიმშილის საშიშროება ემუქრება.

რესპუბლიკის რაიონების შეფობა აფხაზეთის ცალკეული რაიონებიდან წამოსული ხიზნებისადმი, მათ მიმართ საწარმოებისა და ორგანიზაციების დახმარების გაძლიერება (ვისაც ასე თუ ისე გააჩნია ამისი შესაძლებლობა), რუსეთისა და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველთა, თუნდაც სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ძალისხმევის უზრუნველყოფა, გვარის შეფობა გვარისადმი და ა. შ. უნდა გადაიქცეს ამ მოძრაობის ძირითად მიმართულებებად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ნათესაური ფენომენი საკმაოდ ძლიერად არის წარმოდგენილი, ხიზნებისადმი საზოგადოებრივი დახმარების ყველაზე მიზანშეწონილი და შედეგის მომტან ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ ცალკეული გვარების ორგანიზებული შეფობა თავისივე გვარის ხიზნებისადმი. რამდენადაც ვიცი, ჩემი გვარი საკმაოდ არის წარმოდგენილი აფხაზეთში, ცხადია, სხვებთან ერთად ისინიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მშობლიური კერა და დღეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ხიზნის გაჭირვებული ცხოვრებით არსებობენ. ამასთან, კვარაცხელების გვარი საქართველოში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია. არა მგონია, რომ მათ შეირცხვინონ თავი, თუ შევახსენებთ თავიანთ მოვალეობას — დახმარების ხელი გაუწოდონ თანამოძმეებს (დარწმუნებული ვარ დღესაც ისინი გულზე ხელებდაკრეფილნი არ არიან). დაე, ჩვენი ეს კეთილშობილური საქციელი სხვა გვარებისათვის სანიმუშო მაგალითად იქცეს.

ამას წინათ მე და ჩემმა რამდენიმე მეგობარმა მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეთა კავშირში შესვლის შესახებ, ამ პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში უდგას სახელმწიფოს მეთაური, ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე, ბევრი სასიკეთო საქმე წამოიწყო. მრავალი გასაჭირიდან ქვეყნის თავის დაღწევისათვის ზრუნვის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინება იქნებოდა ხიზანთა პრობლემების გადაწყვეტაში მოქალაქეთა კავშირის აქტიური მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილი და მისი ოჯახის წევრები გაგრის ტრაგედიამ კინაღამ შეიწირა, მათ დაკარგეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ, ამასთან ბევრი სხვა ახლობელიც საჭიროებს ჩვენგან ყურადღებას, მე მზადა ვარ აქტიურად ჩავება ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში.

ვიმედოვნებთ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი, მოქალაქეთა კავშირის წევრები აფხაზეთიდან, ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ხიზნებისადმი საზოგადოებრივი დახმარების გააქტიურებას.

ბრამიტონ კვარაცხელია.

P. S. თბილისში მცხოვრები კვარაცხელიების გვარის მრავალი წარმომადგენელი უკვე შეუერთდა ამ კეთილშობილურ წამოწყებას. შეიქმნა გვარის სათვისტომო, რომელმაც ლტოლვილებისათვის დახმარების ორგანიზაცია იკისრა. მილიონობით კუპონი უკვე გადაეცა ლტოლვილთა ოჯახებს. წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოველით უფრო ფართო გამოხმაურებას. ტელ.: 98-24-84.

ხსოვნა



ალექსანდრე ჩუბინიძე

ქართველ მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი პათოლოგანატომი, საქართველოში ნეირომორფოლოგიის ფუძემდებელი, კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის პათომორფოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ივანეს ძე ჩუბინიძე.

იგი მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა, მაღალი პროფესიონალიზმი და მოქალაქეობა, მშობელი ხალხის სიყვარული და თავდადება მისაბაძი იყო.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი ალექსანდრე აკადემიკოს ვლ. ჟღენტის მიწვევით იწყებს მუშაობას ამავე ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე ასისტენტად. სრულიად ახალგაზრდა ექიმმა გაიარა კავკასიის, ყირიმის, უკრაინის ფრონტები, გადაიხადა ბრძოლები კავკასიის, უკრაინის და რუმინეთ-უნგრეთის განთავისუფლებისათვის. 1947 წელს კი თბილისში დაბრუნდა და დღემდე ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს.

მეცნიერის კვლევითი მოღვაწეობა აისახა მის საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომებში, სამ მონოგრაფიასა და 180-ზე მეტ სამეცნიერო შრომაში, 70-ზე მეტ სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების ოპონენტობასა და ხელმძღვანელობაში, სამეცნიერო კადრების აღზრდაში. მან პირველად აღწერა თავის ტვინის სიმსივნეების, სისხლძარღვების და კაპილარების არქიტექტონიკური თავისებურებანი, მოწონებულია ცენტრალური ნერვული სისტემის გამოკვლევის მორფომეტრიული მეთოდი, რომლითაც წარმატებით სარგებლობენ მთელი რიგი ქვეყნების მრავალ სამეცნიერო დაწესებულებაში. პირველად მან გამოავლინა ნეირონების ეპილეფტიზაციის სტრუქტურული საფუძვლები, რომელიც გაშუქებულია მის ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე გამოქვეყნებულ შრომებში.

ზნეობრივი, ყველა დადებითი საქმის კეთილმოსურნე, კაცთმოყვარე — ასეთი იყო ალექსანდრე ჩუბინიძის მოქალაქეობრივი სახე.

ჩვენთვის მარად მისაბაძი იქნება მისი მართალი ცხოვრება და მოღვაწეობა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი; საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოება; საქართველოს ნევროპათოლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაცია.

თეიმურაზ ლოლაძე

ქართველ იურისტთა რიგებს 50 წლის ასაკში მოულოდნელად გამოაკლდა ქარელის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი თეიმურაზ (ბიჭი) ვარლამის ძე ლოლაძე.

თბილისს დააკლდა კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველი, მის უამრავ მეგობარს კი ერთგული, ყოველთვის გაჭირვებაში გვერდში მდგომი, თავმდაბალი და უღალატო კაცი.

დაიბადა მარნეულის რაიონში. იურისტების ტრადიციულ ოჯახში აღზრდილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დამთავრების შემდეგ მუშაობდა გარდაბნის, თერჯოლის, თბილისის ისნის რაიონის, რესპუბლიკის პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე და ყველგან დატოვა განსაკუთრებული სითბო, სიყვარული.

1992 წელს თ. ლოლაძე დააწინაურეს ქარელის რაიონის პროკურორად, სადაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი კაცთმოყვარეობა, საქმისადმი სიყვარული, ნიჭი, უნარი. ყველგან სადაც კი უმუშავია, მას ახასიათებდა მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერება, მაღალი პროფესიონალიზმი. ჰქონდა ჩინებული ოჯახი, იყო შესანიშნავი მეუღლე.

კოლეგებსა და მეგობრებს მარად დარჩებათ თეიმურაზ ლოლაძის ხსოვნა.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა.

თეოფანე ლაჭყეპიანი

87 წლისა გარდაიცვალა ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშის მკვიდრი თეოფანე გიორგის ძე ლაჭყეპიანი. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სოფლების — ზოგიშისა და ლაილაშის სკოლებს. გერმანელ ფაშისტებზე სრულ გამარჯვებამდე იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. დემობილიზაციის შემდეგ ლაილაშის კოლმეურნეობის თავკაცია. წლების მანძილზე იყო სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ადგილობრივი და რაიონული საბჭოს დეპუტატი. სწორედ მისი მონდომებით გაიყვანეს სოფელში სამანქანო გზა, ელექტროხაზი, აშენდა წისქვილი, დაინიშნა ავტობუსი და ა. შ.

ბატონ თეოფანეს პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა. მის სამართლიან გადაწყვეტილებასა და კეთილ რჩევას ბევრი შემოუბრუნებია სასარგებლო საქმისკენ. უანგარო შრომისა და ხალხის სამსახურისთვის ბატონი თეოფანე დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

შესანიშნავი მოქალაქის, ჭეშმარიტი პატრიოტის, უღალატო მეგობრისა და ამხანაგის თეოფანე ლაჭყეპიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

აკადემიკოს პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი, აკადემიკოს პ. ქავთარაძის სახელობის ნევროლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოება, ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაცია მწუხარებით იუწყებიან პათომორფოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის, რესპუბლიკის პათანატომთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ

ალექსანდრე ივანეს ძე ჩუბინიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 17 მარტიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	211, 958. 19	კუპონი
ავსტრიული შილინგი	24, 789. 63	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	440, 583. 19	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	84, 611. 36	კუპონი
გერმანული მარკა	174, 247. 70	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	155, 141. 46	კუპონი
დანიური კრონი	44, 696. 97	კუპონი
100 იტალიური ლირა	17, 653. 58	კუპონი
კანადური დოლარი	216, 704. 66	კუპონი
ნორვეგიული კრონი	40, 234. 15	კუპონი
აშშ დოლარი	295, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	53, 736. 07	კუპონი
ფრანგული ფრანკი	51, 282. 90	კუპონი
შვედური კრონი	37, 609. 06	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	205, 145. 34	კუპონი
10 იაპონური იენი	27, 743. 07	კუპონი
ეკიუ	336, 918. 88	კუპონი
10 ესპანური პესეტა	21, 275. 76	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	11, 977. 07	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	422, 970. 86	კუპონი
ისლანდიური კრონი	4, 105. 24	კუპონი
ქუვეიტური დინარი	991, 597. 12	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	1, 738. 02	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	16, 998. 60	კუპონი
სინგაპურული დოლარი	186, 061. 45	კუპონი
10 თურქული ლირა	147. 84	კუპონი
რუსული მანეთი	168. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	73, 862. 88	კუპონი
ლატვიური ლატი	480, 480. 00	კუპონი
ესტონური კრონი	21, 285. 60	კუპონი
10 უკრაინული კარბოვანეცი	78. 96	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	17, 640. 00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	76, 065. 36	კუპონი
ყირგიზეთის სომი	30, 345. 84	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.